# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

სამშაბათი, 13 ნოემბერი. 2018 წ. №229 (8630) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი




## უგუნურთა ხელები შორს ჯანსუღ ჩარკვიანისგან

ვინ ტეხს პოეტის ციხეს შიგნიდან?

4

## ირმა ინაშვილი:
## სათითაოდ დაგივლით დედიან-მამიანად!..

**ბოლომდე გაგასწორებთ მიწასთან პოლიტიკურად, მორალურად და ზნეობრივად, თქვენ მაინც არ გაქვთ ზნეობა, დაცლილი ხართ ამ ყველაფრისგან,** — ასე მიმართა პატრიოტთა ალიანსის წევრმა ირმა ინაშვილმა ბიუროს დღევანდელ სხდომაზე ენმ-ის დეპუტატს რომან გოცირიძეს.

**ძალიან მარტივად მინდა გითხრათ — გონორს დაუწიეთ და ფარები ჩააქრეთ, თქვენი არავის არ ეშინია ამ**



**ქვეყანაში, იმ პლაკატებს ახლა, აქა-იქ რომ აკრავთ, გაგაკრავთ შუბლზე და დავამთავრებთ ამითი. ჩვენც დაგივლით სათითაოდ, ყველას კარებთან მოვალთ და ვერავინ ვერ გამაჩერებთ, ყველას აგიკრავთ კარებთან, რომ თქვენ ჩააბარეთ ახალგორი და კოდორი გაყიდეთ... ბოლომდე გაგასწორებთ მიწასთან პოლიტიკურად, მორალურად და ზნეობრივად, თქვენ მაინც არ გაქვთ ზნეობა, დაცლილი ხართ ამ ყველაფრისგან. ამიტომ გეუბნებით, ჩააქრეთ ფარები, თქვენი ტიტუშკების არავის არც ეშინია, არც გვარამიასი ეშინია არავის, იქიდან რომ დედას იგინება, დედის გინებაზე კი არა, დაგივლით სათითაოდ, სათითაოდ დაგივლით დედიან-მამიანად სუყველას“.**



## „ცრუ-თავი-2“-ის ვაიგმირ წკვარამიას გასაგონად!

**სწორუპოვარი ლაშა ტალახაძე მესამედ ზუსტად იმიტომ გახდა პლანეტის უძლიერესი ზეადამიანი, რომ ნაცშპანის ნაპროკურორალსა და მისნაირ მოფაშისტო ელემენტებს არ უგორებს კოჭს და პროგრესული პოლიტიკური ძალის წინასაარჩევნო კლიპში მონაწილეობს. ბუნებრივია, „მეცოცხეთა“ რუპორის სამარცხვინო შეფისა და მისი მასტის „მოღვაწეთათვის“ საჩხერელი (დიახ — საჩხერელი!) გოლიათი, როგორც პიროვნება, უნდა დამთავრებულიყო და დამთავრდა კიდეც, რაც, დაგვეთანხმებით, საამაყოცაა. საინტერესოა, თვით ნაცთა გაადამიანება როდისღა დაიწყება?!**






## შარვალჩახდილი დემოკრატია შიშველი უკანალით...

5

## ირაკლი კობახიძე:
## „ნაცმოძრაობა“ არის კრიმინალური, ბინძური პოლიტიკური ძალა!



**აბსოლუტურად მიუღებელია, როდესაც პირდაპირ ვიტყვი - კრიმინალური და ბინძური პოლიტიკური ძალა „ნაცმოძრაობა“ საუბრობს მაღალ მატერიებზე — ეს არის კრიმინალური პოლიტიკური ძალა, ეს არის ბინძური პოლიტიკური ძალა, რომელსაც არაერთი უმძიმესი დანაშაული აქვს ჩადენილი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე,—** ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომაზე განაცხადა.

**„უამრავი დანაშაული გაქვთ ჩადენილი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე და ამ დანაშაულის შედეგია ძალიან მძიმე — სრული ოკუპაცია ჩვენი ორი ისტორიული რეგიონის, შეგახსენებთ დანაშაულებს: ასზე მეტი დაკარგული სოფელი, ათი ათასობით ახალი დევნილი აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან, ასობით დაღუპული სამხედრო და სამოქალაქო პირი. თქვენი დანაშაულის შედეგია ეს ყველაფერი და ამას თქვენ უწოდებთ „შეცდომას“. ეს არის თქვენი დანაშაული, რომელსაც თქვენ ხელი მოაწერეთ, როდესაც თქვენ მხარი დაუჭირეთ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას. უკვე 5 პასუხი მიიღეთ და მიიღებთ კიდევ ერთ პასუხს. ეს არის უმძიმესი კრიმინალური, ბინძური პოლიტიკური ძალა. ეს იყო ერთ-ერთი დანაშაული, რაც მე ვთქვი, როდესაც მან ხელი შეუწყო რუსეთის აგრესიული სცენარის განხორციელებას“...**

## აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოზე გაცვლა, არასწორია - მათ სხვადასხვა ფასი აქვთ

8

## ზუგდიდი
## საქართველოში ერთადერთი მედია-მუზეუმი

9

# უღირსი ნაციონალი ყოფილი სამხედროები სალომესა და მის შვილებს ფიზიკური ლიკვიდაციით ემუქრებიან!!!

**სახელისუფლებო** გუნდისგან მხარდაჭერილი პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, პირადად მის და მისი შვილების მიმართ მუქარები ხორციელდება.

ამის შესახებ ზურაბიშვილმა გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა:




„ბოლო დღეებში — კერძოდ 9,10 და 11 ნოემბერს — განხორციელდა ჩემი შვილების- თეიმურაზის და ქეთევანის — და პირადად ჩემს მიმართ სმს და ხმოვანი შეტყობინებები, სადაც ნათლადაა გამოთქმული სიცოცხლის მოსპობის მუქარა.

გამოკვეთილად სხვადასხვა უხამს სიტყვებთან ერთად სამივეს მიმართულებით გაჟღერდა „შუბლს გაგიხვრიტავ“ ... „თქვენს სისხლს დავლევ“.

მუქარა რეალურია, რამეთუ ავტორები იდენტიფიცირებული პირები არიან, ყოფილი სამხედროები დაკავშირებული თავისივე სტატუსებიდან გამომდინარე, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და მის მეთაურებთან. ძალიან შეურაცხმყოფელია ქვეყნისთვის, რომ ასეთი ადამიანები, რომლებიც ემუქრებიან ქალს და მის შვილებს, მანიპულირებენ სამხედრო ძალის სახელით, იმ ძალის, რომელიც ჩვენს ქვეყანაში და ჩემთვის პირადად ქართული ვაჟკაცობის, ღირსების და თავდადების სიმბოლოა.

სოციალურ ქსელებში თანხვედრილი იდენტური ტექსტები მიუთითებენ იმასაც, რომ სხვადასხვა პირებისგან წარმოთქმული მუქარები რეალურად ერთ კოლექტიურ გეგმაში იწერება.

ამ ქმედებებით კიდევ ერთი საფეხური გადაიდგა ქვეყანაში დაძაბულობის, შუღლის, სიძულვილის გარემოს დაფუძნებისთვის, რაშიც მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ ყოველდღიურად ერთ პოლიტიკურ მოძრაობის შიდა თუ გარე ლიდერები, ტელეწამყვანები და ზოგი მათი მხარდამჭერები.

ამ წინა საარჩევნო პერიოდში, ქვეყნის სტაბილურობა მეტად მნიშვნელოვანია და ერთ-ერთ საპრეზიდენტო კანდიდატზე და მის ოჯახზე სიცოცხლის მოსპობის მუქარის გავრცელება მეტად სერიოზულად უნდა იყოს მიღებული.

მივმართე შინაგან საქმეთა სამინისტროს და შესაბამის უწყებებს, რათა დაუყონებლივ მოახდინონ რეაგირება მოცემულ ფაქტებზე, რომ დროულად იქნას აღკვეთილი ყველა მცდელობა, რომელიც მიმართულია დესტაბილიზაციისკენ და არეულობისკენ.

მივმართავ ასევე საზოგადოებას და კერძოდ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა ვალდებულებაა, სახელმწიფო უწყებებთან ერთად დაიცვან წინასაარჩევნო სიმშვიდე და წონასწორობა.

გახსენებთ, რომ ჩემი პირველი მიმართვა გაკეთებული ამ წლის 11 ოქტომბერს დარჩა რეაგირების გარეშე იმ ორგანიზაციებიდან, რომლებიც უნდა იცავდნენ ადამიანის უფლებებს, გმობდნენ სიძულვილის ენას, გენდერულ დისკრიმინაციას და იცავდნენ პოლიტიკურ კორექტულობას. ამდენად, შესაძლო მოვლენების განვითარებაზე, ჩემს და ჩემს ოჯახის მიმართ თუ ქვეყანაში დესტაბილიზაციის კუთხით, პასუხისმგებლობას ამ საქციელის ავტორებთან გაინაწილებენ, ისინიც, თუ სათანადო და მყისიერი რეაგირება არ მოყვა“, — განაცხადა ზურაბიშვილმა.

# სალომე ზურაბიშვილი მუქარასთან დაკავშირებით არასამთავრობოებს მიმართავს

**„ქართული ოცნების“** მიერ მხარდაჭერილი საპრეზიდენტო კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი მუქარასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართავს.

ის არასამთავრობო სექტორისგან რეაგირებას ითხოვს ყველა იმ დარღვევაზე და უფლების დარღვევაზე, რაც მისივე თქმით, მის მიმართ ხორციელდება.

**„მივმართავ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა ვალდებულებაც არის, დაიცვან წინასაარჩევნოდ სიმშვიდე და წონასწორობა. გახსენებთ, რომ ჩემი პირველი მიმართვა დარჩა რეაგირების გარეშე იმ ორგანიზაციებისგან, რომლებიც უნდა იცავდნენ ადამიანის უფლებებს, გმობდნენ სიძულვილის ენას, გენდერულ დისკრიმინაციას და იცავდნენ პოლიტიკურ კორექტულობას. ამდენად, შესაძლო მოვლენების განვითარებაზე, ჩემი და ჩემი ოჯახის, ასევე ქვეყანაში შესაძლო დესტაბილიზაციის კუთხით, პასუხისმგებლობას ამ საქციელის ავტორებთან ერთად გაინაწილებენ, თუ სათანადო და მყისიერი რეაგირება არ მოჰყვა ამას“,** — განაცხადა ზურაბიშვილმა.

# სიცოცხლის მოსპობის მუქარა მეტისმეტია

— ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილი პრეზიდენტობის კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის განცხადებასთან დაკავშირებით აღნიშნა.



**„პირველ რიგში, შესაბამისი სამსახურები აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ და ყველა კითხვას უნდა გაეცეს პასუხი. სიმართლე გითხრათ, არაფერი მიკვირს, ისეთ ვითარებაში მიმდინარეობდა მთელი საარჩევნო კამპანია — შეურაცხყოფებით, ტყუილით, სიცრუეზე დაფუძნებული პროპაგანდით, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტია, დაემუქრო ადამიანს სიცოცხლის მოსპობით. ამას სჭირდება მკაცრი რეაგირება და შესაბამისი პასუხი ყველა იმ ადამიანს, ვინც ეს ზარები განახორციელა.**

**ყველაზე მთავარი, რაც სჭირდება დღეს ქვეყანას, ეს არის ერთობა, კონსოლიდაცია, ურთიერთპატივისცემა, სიყვარული და ეს პირველ რიგში ჩვენ, პოლიტიკოსებმა უნდა დავანახოთ საზოგადოებას, რამდენად მნიშვნელოვანია ისევ და ისევ ჩვენი სამშობლოსთვის და ქვეყნისთვის ეს ყველაფერი“, — განაცხადა კახა კალაძემ.**

**„ქართული ოცნების“ მხარდაჭერილი პრეზიდენტობის კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, მას და მის შვილებს სიცოცხლის მოსპობით ემუქრებიან.**

**პრეზიდენტობის კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის და მისი ოჯახის წევრების მიმართ მუქარის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს, — ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ვლადიმერ ბორცვაძის განცხადებით, მიმდინარე წლის 10 ნოემბერს პრეზიდენტობის კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით მიმართა და შეატყობინა, რომ სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მეშვეობით მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ ხორციელდებოდა მუქარა. კერძოდ, მათ მიიღეს შეტყობინებები სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის შესახებ.**

**ბორცვაძის განცხადებით იმავე დღეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის და მუქარის ფაქტზე. დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლის I ნაწილით და 151-ე მუხლის I ნაწილით. მისი თქმით, საქმეზე აქტიურად მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.**

**„იმის გათვალისწინებით, რომ საქმე ეხება პრეზიდენტობის კანდიდატს, გამოძიება წარიმართება ინტენსიურად. ასევე, ვიყენებთ კანონით დასაშვებ ყველა შესაძლო ბერკეტს არჩევნების მშვიდობიან გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად. როგორც კი გვექნება გამოძიების შესახებ დამატებითი ინფორმაცია, საზოგადოებას აუცილებლად ვაცნობებთ“,** — განაცხადა ვლადიმერ ბორცვაძემ.

# ინფრასტრუქტურების პროექტების განხორციელებაში აშშ გვეხმარება



**საქართველოს** პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ტრანსპორტირების სარდლობის მეთაურს, გენერალ სტივენ ლაიონსს შეხვდა. შეხვედრაზე ხაზი გაესვა აშშ-სთან, როგორც საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან ურთიერთობის მნიშვნელობას. ყურადღება დაეთმო აშშ-ის მხარდაჭერას განსაკუთრებით იმ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში, რაც საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ვაზიანის სამხედრო ბაზაზე სამხედრო აეროდრომის მშენებლობის საკითხზე. ხაზი გაესვა, რომ აღნიშნული პროექტი იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი საერთო სწავლებებისთვის ინფრასტრუქტურის გასაფართოებლად. აღინიშნა, რომ სამხედრო აეროდრომის მშენებლობა სამომავლოდ შესაძლებლობას მისცემს ქვეყანას, მიიღოს ნატოს წევრი სხვა ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეები, რაც რეგიონის სტაბილურობის გარანტი იქნება.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ტრანსპორტირების სარდლობის მეთაურის პოლიტიკური მრჩეველი დორონ ბარდი, აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი როს უილსონი, აშშ-ის თავდაცვის ატაშე ჯეფრი ჰარტმანი და მრჩეველი ელიზაბეტ ზენტოსი ესწრებოდნენ. ქართული მხრიდან შეხვედრას თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია და გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია დაესწრნენ.

# ლევან იზორიამ აშშ-ის არმიის ტრანსპორტირების სარდალს უმასპინძლა

**ვაზიანში** სამხედრო აეროდრომი აშენდება — ამ ინიციატივის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ტრანსპორტირების სარდლობის მეთაურმა, გენერალმა სტივენ ლაიენსმა საქართველოს თავდაცვის მინისტრთან ლევან იზორიასთან შეხვედრისას ისაუბრა. ლევან იზორიას განცხადებით, სამხედრო აეროდრომის მშენებლობა ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში წარდგენილი ინიციატივის — ახალი მზადყოფნის ცენტრის შექმნას შეუწყობს ხელს.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საუბრის ძირითად თემას აშშ-საქართველოს შორის არსებული სტრატეგიული თანამშრომლობა, საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება, ერთობლივი ამბიციური პროექტის — საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის განხორციელებაც წარმოადგენდა.

# გლობალური მეწარმეების კვირეული

**თბილისის** ტექნოპარკში გლობალური მეწარმეობის კვირეული დაიწყო, რომელიც 18 ნოემბრამდე გასტანს. ღონისძიება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, გიორგი ქობულიამ გახსნა. როგორც მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, გლობალური მეწარმეობის კვირეული ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო პროექტია სამეწარმეო ეკოსისტემის ფორმირების, მეწარმეობის პოპულარიზაციისა და დამწყები ბიზნესის მხარდასაჭერად.

პროექტის ფარგლებში, ყოველი წლის ნოემბერში, 170-ზე მეტ ქვეყანაში ერთდროულად იმართება 30 000-ზე მეტი ღონისძიება, რომელშიც 20 მილიონზე მეტი ადამიანი არის ჩართული. „გლობალური მეწარმეობის კვირეული“ გლობალური სამეწარმეო ქსელის მიერ ეკონომიკის სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თანაორგანიზებით ხორციელდება. პროექტი საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ არის დაფინანსებული.

კვირეულის მთავარი მიზანი და ამოცანა ახალგაზრდა ინოვატორების, მეწარმეების, მეცნიერების და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის საერთაშორისო პლატფორმაზე თავისი პროდუქტისა და მომსახურების გატანაში ხელშეწყობაა. „დარწმუნებული ვარ, კვირეულის საქართველოში ჩატარება საუკეთესო საშუალება იქნება, რათა ქართველმა და საერთაშორისო სპეციალისტებმა ერთმანეთს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარონ, რაც სამომავლოდ ახალ ინოვაციურ ბიზნესიდეებსა და ბაზარზე კონკურენტუნარიანი სტარტაპების ჩამოყალიბებაში გამოიხატება“, — აღნიშნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

# მეცნიერების მსოფლიო დღე



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიაში მიმდინარე წლის 9 ნოემბერს გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა მეცნიერების მსოფლიო დღეს.**

**2001 წელს „იუნესკოს“ მიერ დაფუძნებული მეცნიერების მსოფლიო დღე მშვიდობისა და განვითარებისათვის, ყოველწლიურად აღინიშნება ნოემბრის თვეში მსოფლიო მასშტაბით. ეს დღე დაარსდა მეცნიერების მსოფლიო კონფერენციის შედეგად, რომელიც ასევე „იუნესკოს“ ეგიდით ჩატარდა ბუდაპეშტში (უნგრეთი) 1999 წელს მეცნიერების საერთაშორისო კავშირის მიერ. ყოველწლიურად ამ თარიღის აღნიშვნა ემსახურება იმ მიზანს, რომ გააცნოს საერთაშორისო საზოგადოებრიობას მეცნიერების როლის აუცილებლობა. ეწყობა ღონისძიებები, რათა მოქალაქეები ინფორმირებულები იყვნენ მეცნიერების განვითარების ამა თუ იმ საკითხებში. ამგვარად მეცნიერების მსოფლიო დღე ეხმარება მეცნიერებს, აჩვენოს ფართო საზოგადოებას, რა ადგილი უკავია მას ყოველდღიურ ცხოვრებაში.**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიაც არ ჩამორჩება ამ საყოველთაო ზეიმს და ყოველწლიურად აღნიშნავს ამ თარიღს. წლეულს ეს ღონისძიება საზეიმოდ გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ.მან მიულოცა მეცნიერებს ეს დღე და წარმატებები უსურვა. ღონისძიებას ესწრებოდნენ აკადემიიის წევრები, სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტების მეცნიერმუშაკები და ახალგაზრდა მეცნიერები. სხდომაზე სიტყვა გადაეცა ექვთიმე თაყაიშვილის სახ. საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარეს, აკადემიკოს ნანა ხაზარაძეს. მან აკადემიის წევრ ქალებს გადასცა ექვ. თაყაიშვილის სახ. საქართველოს საისტორიო საზოგადოების სიგელი. ეს ქალბატონები არიან: აკადემიკოსები — ეთერ ქემერტელიძე, მზექალა შანიძე, ქეთევან ნემსაძე, თინათინ სადუნიშვილი, გუჩა კვარაცხელია და წევრ-კორ. ლიანა მელიქიშვილი. აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ კი აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე აკადემიის სიგელით დააჯილდოვა. ამის შემდეგ სიტყვა დაეთმო აკადემიკოს გიორგი ჯაფარიძეს. როგორც მან აღნიშნა, მიმდინარე წლის სექტემბერში ინფორმატიკაში იაპონიის მსოფლიო ოლიმპიადაზე საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების ორმა წევრმა ოქროს მედლები დაიმსახურეს. სულ ნაკრების წევრები იყვნენ: გიორგი კლიაშვილი, ნიკოლოზ ბირკაძე, ალექსანდრე ხორხიაშვილი და ვანო გამეზარდაშვილი. ამ შედეგით ჩვენი მოსწავლეები მსოფლიოს უძლიერეს, 340 მოსწავლეს შორის თექვსმეტ ყველაზე ძლიერთა შორის მოხვდნენ. აკადემიის პრეზიდენტმა გიორგი კვესიტაძემ და აკადემიკოსმა გიორგი ჯაფარიძემ მოსწავლეები სპეციალური სიგელებით და სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვეს, მათ გადასცეს „ვეფხისტყაოსნისა“ და „ფიროსმანის“ უნიკალური გამოცემები. ასევე, კომპანია „ლემონდომ“ მოსწავლეებს ყურსასმენები გადასცა, ხოლო პედაგოგებს ფულადი პრიზები.

საზეიმო სხდომის ბოლო საკითხი გახლდათ გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების ლაურეატთათვის დიპლომების გადაცემა, რაც მომხსენებელმა, აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვ. შემს., აკად. წევრ-კორ. რამაზ ხუროძემ წარმოგვიდგინა. დაჯილდოებულთა ნუსხა ასეთია: ილია ვეკუას სახელობითი პრემია (3000 ლარი) — ნაშრომთა ციკლისათვის „ მათემატიკური ფიზიკის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანა არეებში არაგლუვი საზღვრით“ მიენიჭათ: ფიზიკა-მათემატიკის მეცნ. დოქტ. პროფესორ როლანდ დუდუჩავას, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორ თენგიზ ბუჩუკურს. გიორგი ციციშვილის სახელობითი პრემია (3000 ლარი) ნაშრომთა ციკლისათვის „ცეოლითების სინთეზი საქართველოს ბუნებრივი ალუმინისილიკატური ნედლეულიდან“ მიენიჭათ: აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ვლადიმერ ციციშვილს, ქიმიის მეცნ. დოქტ. ნანული დოლაბერიძეს, ქიმიის მეცნ. კანდ. მანანა ნიჟარაძეს, ქიმიის მეცნ. კანდ. ნატო მირძველს. ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობითი პრემია (3000 ლარი) მონოგრაფიებისათვის „კუნძულთა რკალის პალეოსისტემების ოქროსშემცველი სულფიდური საბადოები, მათი მეტალოგენიური თავისებურებანი და გეოდინამიკური განვითარების პირობები“, „ალპურ-ჰიმალაიური ნაოჭასარტყლის ცენტრალური სეგმენტის მადნიანი საბადოები და მათი გენეზისის პრობლემები“ მიენიჭათ: გეოლოგიის მეცნ. დოქტ. სერგო კეკელიას, გეოლოგიის მეცნ. კანდ. მარენ კეკელიას და აზერბაიჯანელ მეცნიერებს ვ. ბ. ბაბა-ზადესა და ს. აბდულაევას. ალექსანდრე ნათიშვილის სახელობითი პრემია (3000 ლარი) ნაშრომისათვის „ადამიანის ანატომია“ (ორტომეული) მიენიჭა: პროფესორ რამაზ ხეცურიანს. პეტრე ქომეთიანის სახელობითი პრემია (3000 ლარი) ნაშრომთა ციკლისათვის „ნერვულ უჯრედებში მიმდინარე მეტაბოლური პროცესების რეგულაცია ნორმასა და მათოლოგიაში“ (2014-2017 წწ.) მიენიჭა: აკადემიკოს დავით მიქელაძეს. კორნელი კეკელიძის სახელობითი პრემია (3000 ლარი) ნაშრომისათვის „ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონი“ მიენიჭათ: ავტორ ილია აბულაძეს (გარდაცვალების შემდეგ), რედაქტორებს პროფ. მაია რაფავას, ციალა ქურციკიძეს (გარდაცვალების შემდეგ), ისტ. მეცნ. კანდ. ელენე ცაგარეიშვილს. ივანე ჯავახიშვილის სახელობითი პრემია 5000 ლარის ოდენობით ბათუმში ჩატარებულ ღონისძიებაზე უკვე გადაეცათ მონოგრაფია „კლარჯეთის“ ავტორთა ჯგუფს: პროფესორებს — მამია ფალავას, მარი ცინცაძეს, თინა შიოშვილს, შოთა მამულაძეს, რამაზ ხალვაშს, ნუგზარ მგელაძეს; ასოცირებულ პროფესორებს: ზაზა შაშიკაძეს, მაია ბარამიძეს, ჯემალ კარალიძეს.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრესსამსახური**

## საახალწლო ღონისძიებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მოსახლეობასთან ერთად დეკემბერში მივიღებთ

**დღეს არის 12 ნოემბერი, ჩვენ ვსაუბრობთ დეკემბრის თვეზე, დეკემბრის შუა რიცხვებია დაახლოებით, ასე რომ, დაველოდოთ ერთი თვე კიდევ და როდესაც მივალთ დეკემბერში, ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებას დედაქალაქის მოსახლეობასთან ერთად, რას და როგორ გავაკეთებთ, ძალიან მარტივად,** — ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ პარლამენტთან მიმდინარე აქციასთან დაკავშირებით ჟურნალისტებს განუცხადა. მისი თქმით, მერია ვალდებული იყო, ზაზა სარალიძის წერილზე პასუხი სამი დღის ვადაში გაეცა, სადაც აღნიშნულია, რომ საახალწლო ღონისძიებები დაგეგმილია დეკემბრის თვეში.

**„დედაქალაქის მერიას დაგეგმილი ჰქონდა ღონისძიებები დეკემბრის თვეში, შესაბამისად, წერილში ეს ყველაფერი არის მოცემული, რომ 15 დეკემბერს არის ნაძვის ხის ანთება, რომელიც არის ტრადიცია და ეს კახა კალაძის, ან თბილისის მერიის მოგონილი არ არის, ეს არის ტრადიცია და, შესაბამისად, ამ ღონისძიებებს სჭირდება მომზადება, რომელიც იწყება დაახლოებით 7-10 დეკემბრიდან“,** — განაცხადა კალაძემ.

## გადავაქციოთ თბილისი უსაფრთხო ქალაქად!

**დედაქალაქის მერიის ორგანიზებით, თბილისის მედეგობის თემაზე, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებსა და დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრა გაიმართა, სადაც დედაქალაქში არსებული გამოწვევების წინასწარი ყოვლისმომცველი შეფასება და სამომავლო გეგმები წარადგინეს.**

დედაქალაქის მერის კახა კალაძის თქმით, მიმდინარეობს თბილისის მედეგობის სტრატეგიაზე მუშაობა, რომლის განხორციელებაც მომავალი წლიდან უნდა დაიწყოს.

**„ჩვენ გვსურს, ეს ქალაქი დავიცვათ მეოთხედი საუკუნის ქაოსის შედეგებისგან, რომელმაც თანდათან გამოფიტა თბილისი, გააქრო ის ურბანული ფასეულობები, რომელიც ადამიანის ჯანსაღი განვითარებისა და არსებობისთვისაა აუცილებელი. ამ ქალაქს აქვს დიდი პოტენციალი, თანამშრომლობისა და ინვესტირების კარგი შესაძლებლობები, რაც მთავარია, არსებობს პოლიტიკური ნება, განვავითაროთ თბილისი, როგორც მედეგი, უსაფრთხო ქალაქი და ის მოქალაქეებს, მის მცხოვრებლებს დავუბრუნოთ“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრები, ასევე, გაეცნენ სხვადასხვა ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია როგორც რისკების პრევენციისაკენ, ისე, დედაქალაქის შესაძლებლობების რეალიზებისკენ.

ღონისძიება მიზნად ისახავდა იმ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წრის გაფართოებას, რომლებიც დაინტერესებული არიან თბილისის მხარდაჭერით და დედაქალაქთან თანამშრომლობით.

## ძუძუს კიბოს მეოთხე სტადიით დაავადებულთათვის წამლები მთელი საქართველოს მასშტაბით

**ძუძუს კიბოს მეოთხე სტადიით დაავადებული პაციენტები, სამკურნალო მედიკამენტებს პერჯეტასა და ჰერცეპტინს 80%-იანი ფასდაკლებით მიიღებენ.**

ჯანდაცვის სამინისტროსა და კომპანია „როშეს“ შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა ძუძუს კიბოს ადრეული სტადიის (I, II, III) მქონე პაციენტების გარდა, მედიკამენტებს 80%-იანი ფასდაკლებით მთელი საქართველოს მასშტაბით, მეოთხე სტადიის მქონე სიმსივნით (ძუძუს კიბო) დაავადებული მოქალაქეებიც მიიღებენ.

**„მწარმოებლის მხრიდან ფასის დაწევამ, საშუალება მოგვცა არსებული ბიუჯეტით პროგრამაში უფრო მეტი პაციენტი ჩაგვერთო და ძუძუს კიბოს მეოთხე სტადიის მქონე მოქალაქეებისთვის 80%-იანი ფასდაკლებით მიგვეცა აღნიშნული მედიკამენტები“,** — განაცხადა დავით სერგეენკომ.

სახელმწიფოსა და კერძო სექტორის, კოორდინირებული ურთიერთთანამშრომლობით, შესაძლებელი ხდება, საქართველოში სრულად იქნას მოცული ძუძუს კიბოთი დაავადებული, ყველა სტადიის პაციენტების მკურნალობა.

საქართველოში ყოველწლიურად, ძუძუს კიბოს 1500-ზე მეტი შემთხვევა ფიქსირდება. დაავადების სამკურნალო მედიკამენტის — ჰერცეპტინის ღირებულება, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის დაავადების რემისიას და სიცოცხლის ხანგრძლივობას, ერთ პაციენტზე წლიურად 72000-ზე მეტ ლარს შეადგენს.

ძუძუს კიბოს სამკურნალო არსებული პროგრამა 2016 წლის თებერვლიდან დაიწყო, რომელიც მიზნად დაავადების სამკურნალო მედიკამენტზე ხელმისაწვდომობის გაზრდას ისახავს.



# უგუნურთა ხელები შორს ჯანსუღ ჩარკვიანისგან

## ვინ ტეხს პოეტის ციხეს შიგნიდან?



**მეორეჯერ მიწევს ჩვენი საგვარეულოს — გელოვანების მონათესავე ერთი ქალბატონის გამოსვლაზე გამოხმაურება. ბოლოს წინა ორი, „ტვ-პირველზე“ და „რუსთავი-2“-ზე, ხომ რაღაც „კოშმარი“ გახლდათ. აი, „იმედზე“ კი მისმა ბოლო გამოსვლამ და დემონსტრაციულმა გაქცევამ ისეთი ფურორი გამოიწვია, რომ ფეისბუქი ლამის აფეთქდა. ქალბატონ მარი ჯაფარიძის პოსტ-კომენტარმა კი დააგვირგვინა ისტერიული სიცილ-ხარხარის ზვავი: „იმედის თავზე ტაკოს საწმერთული ფრიალებს.“**

რა დასამალია და, თაკოს, იგივე, TAKO CHARKVIANI-ს მორიგი სიბრძნითმეტყველების შემდეგ, ჩნდება ხოლმე ტრადიციული შეკითხვა-თავსატეხი:

— ეს ყოფილი ქოცი მუსიკათმცოდნე გულწრფელ მეგი გოცირიძის მსგავს და, ექსპრეზიდენტის სიტყვებით, უკვე საამაყო მიშისტად როდის „დაიბადა“?

— ან, როდიდან ჩამოყალიბდა ასეთ პრეტენზიულ ინტელექტუალად და მენტორად, „პუბლიცისტურ თხზულებათა“ რომელი ტომის გამოცემის შემდეგ?

— ანდა, ქოცების ხელისუფლებაში მოსვლამდეც ასეთი „აქტიური“ იყო ეს „საშუალოდ განათლებული“ მდედრი, რომელსაც საზოგადოება იცნობდა როგორც მხოლოდ ბატონი ჯანსუღის შვილს, მამუკას დას, ვუნდერკინდ ირმას დედას, „მოყაჩაღო“ გიგანის „მორკინალის დედოფალს“ თუ... „გამოჩენილი პუბლიცისტი“ და ანგარიშგასაწევი „საზოგადო მოღვაწე“, ტელეეკრანების მომაბეზრებელი „მოძღვარი“, გამორჩეულად „თვალახილული“, პრინციპული კრიტიკოსი მას შემდეგ გახდა, რაც... მინისტრის მოადგილის სავარძლის უტიფრად მაძიებელი, მისივე მეთოდით, ანუ, „სიმბოლური პანღურით“ გამოაძევეს და შემდგომ სათოფეზე აღარ გააკარეს არა მარტო კულტურის სამინისტროს, არამედ...

— იცნობს თუ არა ეს საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი მუსიკათმცოდნე ქალბატონი თავისი „მოგვარე“ პოეტის ჯანსუღ ჩარკვიანის სიცოცხლის ბოლო წლების შემოქმედებას, თუ მხოლოდ ოჯახურ გარემოში და მხოლოდ შინაურებისთვის განკუთვნილ მის „სენტენციებს“ ასაჯაროებს ახლა ქალიშვილი თაკო, იგივე TAKO?

არადა, თითქოს უნდა იცნობდეს, ისევე, როგორც წიგნიერი საზოგადოების ნაწილი, მამამისის შედევრებს, რამეთუ პოეტი მათ საკუთარი საოჯახო გაზეთის — „ქართული სიტყვის“ ყველა მორიგ ნომერში აქვეყნებდა, რაზეც ყურადღება მართებულად მიაქცია მეტისმეტად გულწრფელ და ზუსტი აქცენტებით აღსავსე გამოსვლისას („ტვ-კავკასიაზე“) პოპულარულმა და მზარდმა მაგისტრმა ლევან ლორთქიფანიძემ.

**სწორედ ამ მრავლისმეტყველმა და დამაფიქრებელმა გამოსვლამ გვიბიძგა, დავინტერესებულიყავით ახლა შეჩერებული ამ გამოცემით, „ქმრის ფულით“ დასტამბული, სულ პაწია ტირაჟის მქონე საოჯახო გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული „პუბლიცისტური“ ნააზრევით.. და, ნეტავ, არ დავინტერესებულიყავით... არა, შოკს იწვევს არა მარტო თაკოს, იგივე TAKO-ს „ღია“ მიმართვა და სხვა „პუბლიცისტიკა“ (რომელსაც მოგვიანებით მოგაწვდით), არამედ ამ გაზეთის ბოლო გვერდებზე გამოქვეყნებული ჯანსუღ-მგოსნის პოლიტიკური ლირიკის შედევრები. მართლაც, რა დროს თაკოა, ანუ, იგივე TAKO და მისი ე.წ. „პუბლიცისტური“ ბოდიალი.**

**ჯანსუღის პოლიტიკური ლირიკა მართლაც საოცრებაა. ჩვენი დღევანდელობის ხატოვანი, ფუნაგორიული “ისტორია“... მაინც, რა არის პოეტის თვალი, რა სიღრმე, რა პერსპექტივა, რა ზუსტი გასროლა, პირდაპირ ათიანში მოხვედრილი... მარტო „მეფე შადრევან პირველი“ არის საკმარისი, რომ ეპოქალური მმართველი გახადო „პოპულარული“...**

ერთი სიტყვით, გაეცნობი „ჯანსუღის სიცილნათელებს“ და... ნულა ეძებ პასუხს იმ შეკითხვაზე, რაც თავში დავსვი: იცნობს თუ არა შვილი მამის შემოქმედებას ისე ღრმად და ობიექტურად, როგორც, მაგალითად, გრიგოლ ვაშაძის ბიოგრაფიას, მის ტალანტებს... :

თვალთმაქცობს თაკო, ანუ, იგივე **TAKO**. ისე ეშმაკურად იქცევა, რომ საზოგადოებამ იფიქროს, რომ მას წარმოდგენაც კი არა აქვს მამამისის პოლიტიკური „ლირიკის“ თაობაზე და რომ იმ საკუთარი „ქმრის ფულით“ გამოცემულ გაზეთში მხოლოდ თავის „პუბლიცისტიკას“ ადევნებდა თვალს...

აბა, სხვანაირად როგორ გაამართლოს საკუთარი ზნეობრივი და პოლიტიკური სალტო-მორტალე? აბა, რომ სცოდნოდა და „პუბლიცისტისა“ და „მუსიკათმცდნის“ პოზიციებიდან გაეაზრებინა გენიოსობამდე ახლო მდგომი მამის ეს სტრიქონები, ხომ არ მიიღებდა „მძლნერის“ აბაზანებს (უკაცრავად, ტერმინი ნიკა გვარამიას დავესესხე) იმ ტიპებთან ერთად, რომლებსაც ექსპრეზიდენტის პარალელურად უნიჭიერესი ჯანსუღი ასე „ეალერსებოდა“:

### მიშას

**„ენის ტლიკინი, სისინი,**
**„ჩაშვება“, რაც მთავარია,**
**გვერდით რომ გყვანან, ისინი,**
**შენზე უარესნი არიან“.**

გაიგე, „მორკინალის დედოფალო“ თაკო, იგივე, **TAKO**, რას წერდა ჯანსუღ ბატონი: მიშა ხომ არის და არისო, მაგრამ „ღრიღორი და კომპანია“ მიშაზე უარესები არიანო.

ხომ არ მეშლება, სწორად გავიგე არა?! და ეს შენი „ქმრის ფულებით“ და მამაშენის მთავარრედაქტორობით რომ გაზეთი გამოდიოდა, მაშინ იწერებოდა, ქვეყნდებოდა,. თანაც იმ 9-წლიან პერიოდზე, შენ რომ ახლა მისტირი...

**ანდა, რაც თაკო, იგივე, TAKO ჩარკვიან-გიგანისამ გესლი, ბოღმა, სიბინძურე დაანთხია იმ ადამიანის მიმართ, ვისი გულუხვი შემწეობითაც სიამაყით და მადლიერებით სარგებლობდა ჯანსუღის ოჯახი, სწორედ იმ(!!!) დროს, როცა ეს ჩვენი ცნობილი „პუბლიცისტი“ და, პარალელურად, მუსიკათმცოდნე ქალბატონი თურმე ეჭვიანობდა თავად ამ შემწესა და მისი შემწეობის რუსული(!!!) წარმომავლობის გამო. აი, ვანო მერაბიშვილს ეს წარმომავლობა ფეხებზე ეკიდა და არც მალავდა საკუთარ შეფასებას, რომ ფულს სუნი არა აქვს. მაგრამ თაკო, იგივე TAKO კი, როგორც პატრიოტი და მოაზროვნე ეჭვობდა. ჩუმად, თავისთვის ეჭვობდა, მაგრამ ხმამაღლა არ, უფრო სწორად, ვერ ამბობდა, ეშინოდა. ეშინოდა არა მერაბიშვილის, არა ადეიშვილის, არა სააკაშვილის, არამედ... შიშობდა, ვაი თუ იმ შემწემ გაიგოს, იწყინოს, გაჯავრდეს და ეს გვარიანი „პენსია“, რომელსაც შემწე მის ოჯახს უანგაროდ, თავის ჯიბიდან უხდიდა, შეუწყვიტოსო... ასეა, შიშს, მით უმეტეს ფულის დაკარგვის შიშს, დიდი თვალები აქვს.**

მე კი გული იმაზე მწყდება, რომ თაკოს, იგივე, **TAKO**-ს ქცევით და რიტორიკით გამოდის, რომ მამამისი ერთი ცბიერი და ორსახოვანი იანუსივით კაცი იყო. ჯერ კომუნისტებს ატყუებდა და ბლეფობდა, არც თანამდებობები, პრემიები და ჯილდოები მიუღია, ყველაფერი ბუტაფორია იყოო...

ასევე, საზოგადოებას ოსტატურად აჩვენებდა რომ ზვიადს ებრძოდა, თორემ ყველაფერი პირიქით იყოო. მასთან უახლოესი მეგობრობა აკავშირებდა და რასაც მასზე ზვიადი წერდა და ამბობდა, კომუნისტების დასაბოლებლად აკეთებდაო...

მერე შევარდნაძესაც „აგიჟებდა“ მეგობრობით და ხოტბა-დიდებით და სულ ტყუილია ის, რომ მისი პრეზიდენტობისას სულ დეპუტატი იყო და სიძის ბიზნესს „კრიშავდაო“...

არ სჯეროდა ამ მატყუარა და ძუნწი ივანიშვილის, ეზიზღებოდა და „ლადაობდა“ მასზე, არ მალავდა რომ მისი სიმდიდრის წარმომავლობა რუსულია და პუტინის გამოგზავნილია საქართველოშიო...

ყოველივე ამას ოჯახში კი გვეუბნებოდა გაბედულად, გარეთ კი იძულებული იყო, მასზე მიმაგრებული „გრუ-ს ბებერი გენერალი“ მოეტყუებიაო...

აი, ასე პრიმიტიულად და დაუნდობლად ხელმეორედ მარხავს კარიერისთვის დაუღალავად და ურცხვად მებრძოლი, თითქმის შეურაცხადი ქალიშვილი სახელოვან მამას.

მორჩა! მეტის მოთმენა აღარ შეიძლება! უნდა დავიცვა საკუთარი სისხლისა და ხორცისგან ნაღდი პოეტი, რომელიც მოგვიწოდებდა „თავისუფლება ლომთა ხვედრიაო“, რომელიც მიმართავდა სამშობლოს: „საქართველო, შენ ვინ მოგცა, შვილი დასაკარგავიო“ და რომელიც ძნელად, წინააღმდეგობრივად, მაგრამ მაინც მთაწმინდას მიებარა.

უნდა დავიცვა, თორემ რა გამოდის, ქალიშვილი ისე იქცევა, რომ საქმეში და რეალობაში ჩაუხედავ ადამიანს, მით უმეტეს, ახალ თაობას ეჭვიც გაუჩნდება: ეს ჩვენი საყვარელი და საამაყო პოეტი ზნეობრივად სუფთა კაცი კი არა, ელემენტარული ცრუპენტელა ყოფილა — მასავით „დისიდენტი“ ოჯახის წევრების თანდასწრებით საკუთარ სახლში თურმე მალულად „აშაყირებდა“ თავის მეგობრებს, ლექსებს ვისაც უძღვნიდა, „ქართულ ოცნებას“ და მის ლიდერს, ხოლო საჯაროდ, ქვეყნის გასაგონად პირდაპირ, უშიშრად, უვაზელინოდ უძვრებოდა და ელაქუცებოდა, თანაც, საზოგადოებას პოეტური ენით უხსნიდა:

### ერთადერთი შანსი

**ძველს კი არა, გეტყვი ახალს,**
**რომ არ მოკვდეთ შიმშილით,**
**ერთადერთი შანსი გახლავთ**
**მხოლოდ ივანიშვილი“.**

ჰოდა, ამ სტრიქონების ავტორის ქალიშვილი მამამისს გვიხატავს ყალბ, უსინდისო ადამიანად. არადა, ვინც იცნობდა ჯანსუღ ჩარკვიანს, მას ეჭვი არ შეეპარება ამ სტრიქონების გულწრფელობაში. ისევე, როგორც მის სიალალეში, როცა ის ფაშისტურად იხსენიებდა იმ რეჟიმს, რომელსაც ახლა მისტირის მისი „მოაზროვნე“ გამიშისტებული ქალიშვილი.

სამაგიეროდ, სააკაშვილი არ იმჩნევს უფროსი ჩარკვიანის პირადად მისადმი მიმართულ „წკიპურტებს“, „ბოდიშსაც“ კი იხდის რომ ადრე, „იმ“ წლებში ვერ ხედავდა და აფასებდა თაკოს, იგივე TAKO Charkvian-ს, ახლა კი ამაყობს მისით და ჰპირდება...

**არ ვიცი ღრიღორი, მიშა, ზალიკო, ბაჩუკი და სხვა ონავარი გოგო — ბიჭები თაკოს, იგივე TAKO-ს რას პირდებიან, მაგრამ მე უფრო მჯერა ზეცას ამაღლებული პოეტის მახვილი თვალის და შინაგანი შეძახილისა, რომელიც მინდა შევახსენო კარიერაზე დაკომპლექსებულ მის ქალიშვილს, თანაც ამით გავაფრთხილო ის და მასავით რევანშის წყურვილით აღგზნებულ-აჟიტირებული ტიპაჟი, ვისაც საზოგადოება თურმე აიძულებს ხელისუფლებაში მოსვლას დიდი სამოქალაქო მოძრაობით: ფუყე და მატყუარა, მანიაკივით შურისმაძიებელი და ანგარიშმსწორებელია ის თქვენი ბელადი, რომელსაც თაკოს, იგივე TAKO-ს მამა სიმართლეს საჯაროდ პირში ახლიდა ანეკდოტით, იუმორით, ირონიით, სარკაზმით და მოუგონა კიდეც ფანტასტური თიკუნი „მეფე შადრევან პირველი“:**

### მიშას

**„და თუ ახალი ნიშნავს ძველს,**
**ფუნა გავცვალეთ „იკრაში“,**
**რატომ არ დგამენ მიშას ძეგლს,**
**საყვარელ ამერიკაში?“**

მეტი რაღა უნდა თქვას პოეტმა, რომელიც ასეთ შედევრებს ნებაყოფილობით ქმნიდა და არა კომუნისტებისა და კაგებეს ძალდატანებით თუ დაკვეთით, როგორც ამას მისი სისხლი და ხორცი, მეტაფორულად თუ ვიტყვით, ყველაზე სუსტი ლექსი, უგნურად რომ წარმოგვიდგენს.

მართლაც შინაური თუ გარეული, უგნურების ხელები შორს ჯანსუღ ჩარკვიანისგან!

**ნიკოლოზ გელოვანი**

## ძველი გვარდია ფორმაშია



**„ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურისთვის საგანგებო რეჟიმში მუშაობას განაგრძობს. პარტიის სათაო ოფისში მორიგი შეხვედრა გუშინ გვიან ღამემდე გაგრძელდა.**

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები შეხვედრის დეტალებზე არ საუბრობენ, თუმცა არსებული ინფორმაციით, ისინი ამჯერად „ქართული ოცნების“ ე.წ. ძველი გვარდიის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

**„ძველი გვარდია ფორმაშია, 2012 წლის ნაბრძოლი გუნდის დიდი ნაწილი ამ ბრძოლაში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას. სახელების და გვარების წინასწარ დასახელება მე მგონი არ არის სწორი. იმიტომ, რომ ძალიან დიდი სიაა და არ მინდა, ვინმე გამომრჩეს,“** — განაცხადა გედევან ფოფხაძემ.

## ლუსტრაციის კანონი! სასწრაფოდ!

**„ლუსტრაციის კანონი! სასწრაფოდ! იმისათვის, რომ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში საბოლოოდ დავემშვიდობოთ საბჭოთა წარსულს, იმისათვის რომ დაერქვას ყველაფერს თავისი სახელი, იმისათვის, რომ მომავალმა თაობებმა შეძლონ უკეთესი საქართველოს შენება, იმისათვის, რომ ქვეყანამ იაროს პროგრესის გზით, პარლამენტში ვაპირებ, ინიცირება გავუკეთო კანონპროექტს ლუსტრაციის შესახებ — მივმართავ კოლეგა დეპუტატებს, შემომიერთდნენ და ერთად გადავდგათ ეს ნაბიჯი“,** — ფეისბუქის საკუთარ გვერდზე წერს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ლევან კობერიძე.





# შარვალჩახდილი დემოკრატია შიშველი უკანალით...

**ყოველგვარი ლიტერატურული თუ ფილოსოფიური შესავლის გარეშე, პირდაპირ ვიტყვი, რომ საპრეზიდენტო არჩევნები, გაშიშვლებული უკანალის ფონზე მიმდინარეობს.**

**დიახ, სწორედაც რომ გაშიშვლებული უკანალის ფონზე, ამ სიტყვის როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით და ამ ყველაფრის შემოქმედი იმ დამახინჯებული აზროვნების მატარებელი ხალხია, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის ამაზრზენი აზროვნების დამპალ ნაყოფს წარმოადგენენ.**

მათ თავიანთი პიარ-ტექნოლოგიის საშუალებით, ნორმალური და ცივილიზებული ოპონირება, ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანისთვის აბსოლუტურად მიუღებელ რეჟიმში გადაიტანეს და თავიანთ სულში ჩაბუდებულ შხამს თავისუფლად ავრცელებენ მათ ხელთ არსებული მედიასაშუალებით.

მას შემდეგ, რაც 7 ნოემბერს ნაცმოძრაობას რუსთაველის თეატრში მისულმა ხალხმა და საზოგადოების სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებმა, იმ წარმომადგენლებმა, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზის გამო არჩევნების პირველ ტურში პასიური პოზიცია დაიკავეს, რომ საქართველოს მოსახლეობას არ სურს, შვილები სააკაშვილ-ბოკერიას რეჟიმში გაზარდონ, აჩვენეს, რომ ხალხს ნორმალურად შრომა და ცხოვრება უნდა, ნაცები სალომე ზურაბიშვილის მიმართ უკვე აშაკარა პროვოკაციებზე და პირად მუქარაზე გადავიდნენ.

სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ მასზე და მის შვილებზე ხორციელდება მუქარა სიცოცხლის მოსპობით. მოხდა მოძალადეთა იდენტიფიკაცია და დადგინდა მესიჯების ავტორები. ისინი არიან ყოფილი სამხედრო პირები, რომლებიც მხარს უჭერენ ნაციონალურ მოძრაობას!

საოკუპაციო ზოლთან ჩასულ სალომე ზურაბიშვილს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა სააკაშვილის ბიბლიოთეკის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ვინმე ლანა ღვინჯილიამ, რომელიც თურმე პარალელურად სახელმწიფო დაწესებულებაშიც მუშაობს და ჩვენგან გადახდილი თანხებით იღებს საკმაოდ მსუყე ანაზღაურებას.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, სოციალურ ქსელში მწარე იუმორნარევი პოსტი დაიდო: კარგით რა ხალხო, რა მოხდა, მერე რომ ლანა ღვინჯილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს ხელფასს?

ეგრე ბოკერია და ხათუნა გოგორიშვილიც ჩვენგან გადახდილი თანხებით არსებობენ. არადა, შესახედავად ლანა გაცილებით სჯობიაო.

**საოცრად ამაზრზენი იყო გრიგოლ ვაშაძის მიერ გავრცელებული უმდაბლესი ტყუილი, ბერა ივანიშვილის ქორწილთან დაკავშირებით და მიუხედავად იმისა, რომ თვითმხილველებიდან დაწყებული, ლაშა ჟვანიას განმარტებით დამთავრებული, ცხადი გახდა, რომ გრიგოლ ვაშაძის „ინფორმაცია“ მცხეთის ევაკუაციისა და სვეტიცხოველში საგანგებო რეჟიმის გამოცხადების შესახებ, იყო უსაზიზღრესი ტყუილი, „რ2“ მაინც ავრცელებს ინფორმაციას, თუ რა „საშინლად“ ეპყრობიან მცხეთელებს და ქალაქის სტუმრებს. არადა თავად გაეპარათ კადრი, რომელშიც ნაჩვენებია, თუ როგორ შედის ბიძინა ივანიშვილი ტაძრის ეზოში ოჯახის წევრებთან ერთად და უკანა ფონზე, დაახლოებით ოციოდე მეტრის დაშორებით, ტურისტების ჯგუფი ყოველგვარი შეზღუდვისა და დისკომფორტის გარეშე მოძრაობს.**

**ის, რომ „ოცნება“ ხალხთან ინფორმაციის მიტანას ვერ ახორციელებს, არახალია.**

**რაც შეეხება მიზეზებს, ვიტყვი, რომ უმთავრეს ფაქტორს, მმართველი ძალის მხრიდან მიწოდების საშუალებების მიმართ არასწორი ხედვა წარმოადგენს, სადაც მთავარი აქცენტი კომპლექსისა, თუ რეალობის არცოდნის გამო ფსონის ელექტრონულ საშუალებებზე დადება წარმოადგენს.**

თქვენი აზრით, საქართველოს მოსახლეობის და, განსაკუთრებით, ამომრჩევლის რამდენი პროცენტი სარგებლობს ინტერნეტით? რამდენი პროცენტი კითხულობს საინფორმაციო სააგენტოებზე გავრცელებული ინფორმაციებს?

ფეისბუქმომხმარებლის რამდენი პროცენტია სოციალურად აქტიური და ამომრჩევლის რამდენ პროცენტს წარმოადგენენ ისინი, განსაკუთრებით რეგიონებში?

აბსოლუტურად არ არის გათვლილი ამომრჩევლის ასაკობრივი ჩარჩო და არ არის გათვლილი, თუ საიდან იღებენ და სურთ მიიღონ ინფორმაცია.

ბევრი კეკლუცობა არ უნდა იმას, რომ ამომრჩევლის ძალიან დიდი ნაწილი ინფორმაციას ტელევიზიებიდან და კონკრეტულად ნაცმოძრაობიდან კონტროლირებადი ტელევიზიებიდან იღებს.

დიახ, იღებს ინფორმაციას ტელევიზიებიდან, მაგრამ რამდენად აკმაყოფილებს მიღებული ინფორმაცია მოთხოვნას?



არ დავიწყებ საუბარს სანდოობასა და ხარისხზე. აქ ერთ-ერთი მთავარი მომენტი ინფორმაციის სიმწირე და მისი მიღების არადამაკმაყოფილებელი ფორმაა.

საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკოსთა მხრიდან წამოსროლილი ლოზუნგები და პოლიტიკურ თოქ-შოუებში მოდებატეთა მიერ ნაჩქარევად ნათქვამი, სათქმელი აზრის მესამედი, აბსოლუტურად ვერ აკმაყოფილებს აუცილებელი საჭიროების ყველაზე დაბალ კრიტერიუმებსაც.

**გამოსავალი მარტივია — გაზეთი!**

**დიახ, სწორედაც რომ გაზეთი, რომლის გავრცელების უზრუნველყოფის შემთხვევაში, ძალიან ძნელი იქნება ტყუილის მასობრივად გავრცელება.**

**გაზეთი, რომელიც მოსახლეობამდე მივა, ნამდვილად ახდის ფარდას ყველანაირ ტყუილს. აჩვენებს ჟურნალისტის პროფესიონალიზმს და ქვეყნის მიმართ მის დამოკიდებულებას.**

**ახლა არ ვილაპარაკებ გაზეთის უპირატესობაზე (ამაზე ბევრი დამიწერია), მაგრამ, როგორც ვხედავ, თემა ფრიად საჭირბოროტოა. ამიტომ უახლოეს დღეებში ამ ყველაფრის შესახებ მასალას აუცილებლად შემოგთავაზებთ. პრინციპში თქვენ, ჩვენი გაზეთის მკითხველებს ეს არ გჭირდებათ, მაგრამ იქნებ იქ, ზევით შემთხვევით მოჰკრან თვალი, ცოტა გამოფხიზლდნენ და ამ მიმართულებით ნამდვილი საქმის კეთება დაიწყონ.**

სააკაშვილი ვინც არის და მისი ტყუილების გუდას ძირი რომ არა აქვს, ეს არა მხოლოდ საქართველოში, საერთაშორისო მასშტაბითაც ცნობილია, მაგრამ, სამწუხაროდ, მის ტყუილებს ჩვენი გაზეთის გარდა, ერთი-ორი ბეჭდური გამოცემა თუ ამხელს.

ამიტომ პირდაპირ მივმართავ:

მიHა, შე აფერისტო (ძალიან რბილად ვამბობ), რომ იძახი დამოუკიდებელ საქართველოში არჩევნები სამუშაო დღეს არ ჩატარებულაო.

გაგახსენებ 2008 წლის 21 მაისს, როცა ნამდვილი გაერთიანებული ოპოზიციისგან ერთი ადგილის ჟიმჟიმი გქონდა, საპარლამენტო არჩევნები, ოთხშაბათ დღეს დანიშნე!

სპეციალურად დანიშნე, იმიტომ, რომ შენი „ეკონომიკური წინსვლით“, თბილისში საშოვარზე ჩამოსული „აღფრთოვანებული ხალხი“ თავიანთი რეგისტრაციის ადგილზე ვერ ჩასულიყო. ვისაც საშუალება ჰქონდა, იმათ კი შენი ხროვა აკონტროლებდა.

ეს ზუსტად ვიცი, იმიტომ, რომ მაშინ ამ შენი ე.წ. „არჩევნების“ გასაშუქებლად სენაკში ვიყავი ჩასული.

ერთსაც დავამატებ: ამაზე პირველი მე კი არ უნდა ვწერდე, „ოცნება“ უნდა ეუბნებოდეს ხალხსაც და ევროპასაც, მაგრამ „საგანგებო რეჟიმში“ მომუშავე „იმედის“, „ყველაზე რეიტინგულ“ თოქ-შოუში ჰერმიონა გრეინჯერს კუდიან დედაბერთან ერთად ველოდებით და ახალ პოლიტიკურ გადაცემაში, იმის ნაცვლად, რომ ვინმე ნორმალური ანალიტიკოსი მსჯელობდეს, წამყვანების ჭორაობასთან ერთად, პაატა ზაქარეიშვილის კომენტარებს ვისმენთ.

ევროპაში კი წიგნების ბაზრობიდან დაწყებული, საერთაშორისო სტრუქტურებით დამთავრებული, ნაცები „გულაობენ“.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურის წინ:

1. „არასამთავრობო“ ორგანიზაციები ატარებენ პოლიტიკურად ანგაჟირებულ აქციას პარლამენტის წინ, რასაც მხარდაჭერის რეჟიმში ადასტურებს პარლამენტის წევრი ვინმე ელენე ხოშტარია.

2. „არასამთავრობო“ ორგანიზაციებს მოაქვთ კარვები, რითაც ადასტურებენ, რომ სურთ აქციის დროში გაგრძელება, რაც პირდაპირ არის მიმართული საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის ნორმალურად ჩატარების წინააღმდეგ.

3. „არასამთავრობო“ ორგანიზაციები, თავიანთი ქმედებით ნორმალური სამოქალაქო სექტორის დანიშნულებიდან გადადიან სამოქალაქო ესკალაციის ფორმატში.

4. „არასამთავრობო“ ორგანიზაციები მოსახლეობას გამოსვლებისკენ და ქვეყანაში დესტაბილიზაციის დაწყებისკენ მოუწოდებენ.

5. ერთ-ერთი შპს-ს დირექტორი, ვინმე ნიკა გვარამია ანხორციელებს პროვოკაციას სამართალდამცველების მიმართ. სურს, რომ ისინი საზოგადოების თვალში გამოიყვანოს როგორც საკუთარი აზრის არმქონე რობოტები და შეულახოს ღირსება, იმ ეფემერული პრივილეგიის გამოყენებით, რომ ვითომდა არის ჟურნალისტი. ამავე დროს არღვევს პოლიციელთა უფლებებს და რეგულაციას, ინფორმაციის მიღების წესის შესახებ.

6. „არასამთავრობო“ ორგანიზაციები და ნაციონალური მოძრაობა, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ ცდილობენ ყველანაირი ამორალური ქმედებით მიაღწიონ არა იმ დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტას, არამედ მოახდინონ სიტუაციის დაძაბვა და სცადონ სამოქალაქო დაპირისპირების გამწვავება.

7. სახელმწიფო ინარჩუნებს სიმშვიდეს, რაც, ერთი მხრივ, მისაღებია, მაგრამ კანონდამრღვევთა მიმართ ზედმეტი ლოიალობა საზოგადოების თვალში იწვევს დაუცველობის, მოსალოდნელი არეულობისა და სიტუაციის უმართავ პროცეებში გადასვლის განცდას, რაც სტაბილურობის შენარჩუნებისთვის აშკარად დამანგრეველია.

8. ამ ყველაფერზე საქართველოს სახალხო დამცველი დუმს, რაც აჩენს მოსაზრებებს, რომ ის შეგნებულად უჭერს მხარს ქვეყანაში სიტუაციის დაძაბვას.

დანარჩენი იფიქროს ხელისუფლებამ.

პროვოკაციის პიკი გახლდათ ოკუპაციის წინააღმდეგ გამოხატული პროტესტის ყოვლად უაზრო და საქართველოსთვის შეურაცხმყოფელი ფორმა სოფელ ატოცში.

„გირჩის“ წევრებმა საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებს უკანალები აჩვენეს.

ეს „იდეა“ ზურაბ ჯაფარიძეს ეკუთვნის, რომლის „აზრით“ ეს პერფომანსი ოკუპაციის თემის მიმართ, საერთაშორისო მედიის ურადღებას მიიპყრობს.

როგორც ჩანს „დაბოლილმა“ ჯაფარიძემ ფილმი „მამაცი გული“ ნახა და აღეგზნო.

ხოლო მათთვის, ვინც ზურაბ ჯაფარიძესთან ერთად ამ ფილმს უყურა, ან არ უყურა, აქციით აღფრთოვანდა და თქვა — ყოჩაღ ბიჭებო, მალე დავიბრუნებთ სამაჩაბლოსო, ორ „მცირე“ კომენტარს გავაკეთებ:

1. იმ მართლაც გმირმა და მამაცმა შოტლანდიელებმა, კილტები ჩამოიწიეს და ინგლისელთა არმია გაანდგურეს.

2. იმათ მთავარსარდლად უილიამ უოლოსი ჰყავდათ. თქვენ კი მიHა. ის მიHა, რომელიც გორში მიწაზე ხოხავდა.

3. ფილმების ნახვა კარგია, მაგრამ თუ რამეს გამეორებას დააპირებთ, ცოტა აზრი დაატანეთ.

4. დაბოლოს ერთი თხოვნა მექნება — ბეტმენი, სპაიდერმენი და მსგავსი ფილმები არ ნახოთ, თორემ ტრავმატოლოგიურ განყოფილებებში ამდენი ადგილი არ იქნება და, რაც მთავარია, თქვენი მკურნალობა ბიუჯეტს კისერზე დააწვება და ის თქვენი ვაშაძე პენსიას 400 ლარამდე ვერ გაზრდის.

უკანალი უკანალად და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთი კითხვა მაქვს: ესაა პროვოკაცია, დასჯადია სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად. რას აპირებთ? ამ შარვალჩახდილებს უნდა დააწყებინოთ ახალი ომი? მათი მიზანიც ეს არის.

არადა, საინტერესოა არჩევნების შემდეგ ნამდვილი სახალხო დამცველი რომ ავირჩიოთ, ყოველგვარი პარლამენტისა და „გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციების“ ჩარევის გარეშე, არ შეიძლება?

დავიჯერო ამ „უფლებადამცველებს“, იმ რაღაც „ჟურნალისტთა ქარტიას“, „ექსპერტებს“, და სხვა მსგავს უაზრო და ხორცმეტ „ორგანიზაციებს“ სრული იგნორი რომ გავუკეთოთ, ევროპაში გაგვროზგავენ?

„ოცნებავ“, დროზე მიხედე საქმეს, დროზე, თორემ ხომ ხედავთ, ვიღაც არსებები პრეზიდენტობის კანდიდატს ემუქრებიან და შეურაცხყოფას აყენებენ, სახალხო დამცველი გამქრალია, „რ2“ ბოლომდე ამყრალებს საინფორმაციო სივრცეს, „გირჩელები“ რუსებს უკანალით ეკეკლუცებიან...



დროზე მიხედეთ, თორემ არჩევნებამდე ცოტა დროა დარჩენილი. ძალიან ცოტა.

**გია გაბრიჭიძე**

# აჭარა მსოფლიოში უმსხვილეს ტურისტულ გამოფენაზე

**აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონს პოპულარიზაცია მსოფლიოში უმსხვილეს ტურისტულ გამოფენაზე „WTM London 2018“ გაუწია. დეპარტამენტი გამოფენაზე ტურიზმის ეროვნული ადმინიტრაციის, აჭარის ფინანსთა და ეკონიმიკის სამინისტროსა და ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლებთან ერთად იყო წარმოდგენილი.**

ლონდონის ტურისტულ გამოფენაში მონაწილეობას 5000-ზე მეტი ტურისტული კომპანია და ორგანიზაცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ღებულობდა, რაც ხელს უწყობს საქმიანი კონტაქტების დამყარებასა და პოტენციური პარტნიორების მოძიებას. გამოფენის ფარგლებში, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლები სამომავლო თანამშრომლობის მიზნით შეხვდნენ მსოფლიოში წამყვანი მედიასაშუალებების BBC, Euronews, ITV წარმომადგენლებს, ბლოგერებსა და ონლაინ გამოცემების ჟურნალისტებს, ასევე წამყვანი ბრიტანული და საერთაშორისო ტურისტული, სარეკლამო კომპანიებისა და ავიაკომპანიების წარმომადგენლებს.



**„მსგავსი მასშტაბისა და მნიშვნელობის ტურისტულ გამოფენებზე ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის წარმოჩენა უმნიშვნელოვანესია, რადგან აქ თავს იყრის მსოფლიოში უმსხვილესი მოთამაშეები ტურისტული ბიზნესიდან. ჩვენ სამომავლო თანამშრომლობის დაგეგმვის მიზნით საქმიანი შეხვედრები გვქონდა ისეთ მნიშვნელოვან ორგანიზაციებთან და კომპანიებთან, როგორებიცაა Thomas Cook, British Airways, Wizzair, BBC, Euronews, ITV, Tripadvisor და Expedia. ბრიტანეთი ჩვენთვის საინტერესო ტურისტული ბაზარია, სადაც რეგიონის პოპულარიზაცია მიმდინარე წელს დავიწყეთ, ამიტომ ორმაგად ნიშვნელოვანია, პირდაპირი კომუნიკაცია გვქონდეს ჩვენს პოტენციურ ტურისტებთან. ბოლო ორი წელია, რეგიონის რეკლამირების მიზნით აქტიურად ვიყენებთ BBC-ს ეთერს, სადაც აჭარის საიმიჯო ვიდეორგოლები გადაიცემოდა. შემდეგი წლისთვის უკვე ვგეგმავთ სხვა მედიაპლატფორმების გამოყენებასაც, რათა ხელი შევუწყოთ ბრიტანულ ბაზარზე ჩვენი ქვეყნის ცნობადობის გაზრდას,“** — განაცხადა აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე სულხან ღლონტმა.

# გიორგი მარგველაშვილი პარიზში მშვიდობის ფორუმის გახსნას დაესწრო

**საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, რომელიც პარიზში პირველი მსოფლიო ომის დასრულების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებში მონაწილეობს, მშვიდობის ფორუმის გახსნის ცერემონაას დაესწრო.**

მშვიდობის ფორუმი საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის ინიციატივით იმართება და მან პირადად გახსნა აღნიშნული ღონისძიება, რომელსაც 100-მდე სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ესწრებოდა. მსოფლიო ლიდერები მშვიდობის ფორუმზე ხუთი ძირითადი თემატიკის გარშემო სამსჯელოდ შეიკრიბნენ, ისინი განიხილავენ: მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან, გარემოს დაცვასთან, განვითარებასთან, ციფრულ და ახალ ტექნოლოგიებთან, ასევე ინკლუზიურ ეკონომიკასთან დაკავშირებულ საკითხებს.



# მდინარე ნენსკრა საშიში აღარ იქნება

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნინო თანდილაშვილი მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელთან ერთად ადგილზე გაეცნო სოფელ ჭუბერში, მდ. ნენსკრაზე, გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მიერ დამონტაჟებულ ჰიდრომეტეოროლოგიური პარამეტრების მზომი მოწყობილობების სამუშაო პროცესს.**

აღნიშნული მოწყობილობების საშუალებით გარემოს ეროვნულ სააგენტოს 24 საათის განმავლობაში გადაეცემა მონაცემები მდ. ნენსკრაზე წყლის დონეების მატების და მიმდებარე ტერიტორიაზე მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობის შესახებ.



უხვი ატმოსფერული ნალექების და მდინარეში წყლის დონის ექსტრემალურად მაღალი მატების შემთხვევაში მომზადდება გაფრთხილებები სტიქიური მოვლენის შესაძლებლობის შესახებ, მიღებული ინფორმაცია კი სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებს ეცნობება.

ახლად დამონტაჟებული მოწყობილობები ხელს შეუწყობს მდ.ნენსკრას აუზში სტიქიური მოვლენით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება/შერბილებას. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ივლისის თვეში ჭუბერში განვითარებული ბუნებრივი სტიქიური მოვლენების შემდეგ, გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები ადგილზე მუდმივ მონიტორინგს ახორციელებდნენ, მიმდინარეობდა მოწყობილობების განთავსებისთვის შესაბამისი ადგილის შერჩევა და კვლევები მდინარე ნენსკრას ხეობაში.



# ძმაო, აფხაზო!

ჩატეხილ ხიდზე მსურს ახლა გავლა,
ოცდახუთი წლის ჟამთასვლის შემდეგ
ძმაო აფხაზო, დუმილი კმარა!
ცალ-ცალკე დგომა დაგვღუპავს, მენდე!
სხვა ვერ მიიტანს საკუთარ გულთან
შენს აფსიარცხას,ვარაიდა-რადას
ისე, როგორც მე, გაზრდილი შენთან.
სიკეთით სავსე, ერთგული მარად.
უერთმანეთოდ ეს დათვი შეგვჭამს,
ტყავიდან ჩვენთან მოსვლით რომ ძვრება,
იმას ეს რიწა, გაგრა და ჯიხთა
სჭირდება ომი დასაგებ გზებად.
პატარა ერებს თვლის თავის ლუკმად,
და გასრესს წამში, როდესაც უნდა,
იმას ჩვენ არა, შავი ზღვა უყვარს,
და მიწა-წყალი ჩათვლილი ხურდად.
დაფიქრდი ძმაო, ჩავდგეთ ჩვენს ჯარში
და ვემსახუროთ სამშობლოს ერთად.
აღარ ჩავყაროთ უძირო ჭაში,
რაც უკვდავებად გვაჩუქა ღმერთმა!
ერთად ვყოფილვართ რუსეთის ჯარში,
ჭირის და ლხინის ვიყოფდით ლუკმას.
ყინვაში, თოვლში, მაოხარ ქარში
სამშობლო გვედგა მაშინ ზურგს უკან.

მუხის ბოძებზე შემდგარ ნალიას
და გვერდით მიდგმულ აფხაზურ ფაცხას,
შუაგულ ცეცხლზე დაშვებულ ნაჭას,
მასზე დაკიდულ ღომიან კარდალს,
ვიგონებდით და შავყურძნის მაჭარს
თითქოს ვატანდით ჯარგვალის კართან!
გახსოვს? მდინარე ინიას გულში
ჩამტყდარ ყინულს რომ ჩაჰყევი წყალში,
თითქოს ეს იყო გუშინწინ, გუშინ,
მოულოდნელად, შენს დასახსნელად
გაყინულ წყალში ჩაცმული ჩავხტი,
იმწამს დაღუპვა თუ გქონდა ბედად,
დავიხრჩობოდი მეც შენთან ერთად,
რადგან რწმენისთვის მიწაზე ღმერთმა
ჩვენ გაგვაჩინა თვით შემცვლელ ღმერთად!

უერთმანეთოდ ეს დათვი შეგვჭამს,
იმას თავისი ჰგონია ჩემი.
ასე თუ არა, დაფიქრდი ერთ წამს
ვიდრე შანსი გვაქვს ჩვენ გადარჩენის!

**ამირიდონ ჩეგიანი**

# ციტრუსის ექსპორტმა მნიშვნელოვნად იმატა

**საქართველოში ნარინჯისფერი რთველი აქტიურ ფაზაში შედის. კერძოდ, 2017 წლის 1-11 ნოემბრის მაჩვენებლით, 55 ტონა იყო ექსპორტირებული, 2018 წელს კი ანალოგიურ პერიოდში, ექსპორტი 610 ტონას აღწევს.**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით ციტრუსის ექსპორტის წლევანდელი მაჩვენებელი შარშანდელ ანალოგიურ პერიოდის მონაცემებს 6-ჯერ აღემატება. 2018 წლის 1 სექტემბრიდან 11 ნოემბრის ჩათვლით, ციტრუსის ექსპორტმა 718 ტონას მიაღწია, შარშან კი ანალოგიურ პერიოდში 106 ტონა იყო.

წლევანდელი მოსავალი ერთ-ერთი საუკეთესოა, რაც ექსპორტის მეტ შესაძლებლობას იძლევა. პროდუქციის რეალიზაციის ძირითად ბაზრებად კვლავ რჩება რუსეთი, სომხეთი, უკრაინა და ყაზახეთი.

აჭარის მთავრობის ხელშეწყობით, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ციტრუსის ლოჯისტიკისა და რეალიზაციის ხელშეწყობის, ასევე ციტრუსის სუბსიდირებისთვის უზრუნველყოფის მიზნით, რეგიონში ციტრუსის რეალიზაციის საკოორდინაციო შტაბი აამოქმედა, რომლის ძირითადი მიზანია მანდარინის ჩაბარების პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობის უზრუნველყოფა. შტაბში მუშაობს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელი ხაზიც (1501), სადაც ნებისმიერ მსურველს საჭირო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა აქვს. 25 ნოემბრიდან დაიწყება არასტანდარტული მანდარინის სუბსიდირების პროგრამა. აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, სამრეწველო გადამუშავების (არასტანდარტულ) 1 კგ სამრეწველო მანდარინზე 10-თეთრიანი თანადაფინანსება იქნება.





*სუყოველი სხვა ნაკლი რაინდული სიქველეა სიღატაკესთან შედარებით.*

## ასაკზე

ორმოცს გადაცილებული სუყოველი კაცი არამზადაა.

* * *

სიბერე მოსაწყენია, მაგრამ ხანგრძლივი სიცოცხლის ერთადერთი ხერხია.

* * *

მე უკვე ისე მიმხცოვნებული ვარ, ყველაფრის მიმართ გული გამიცივდა, საკუთარი თავის მიმართაც კი.

* * *

თუ კაცმა ორმოც წლამდე არავინ არ შეიყვარა, მერმე იმისთვისვე აჯობებს, რომ აღარც არავინ არ შეიყვაროს.

* * *

ყველაზე სწორი ის არის, თუ სიბერის ცხოვრებისეულ გამოცდილებას ახალგაზრდულ ენერგიას შევუხამებთ.

* * *

გახსოვდეთ ის ფრანგი, რომელმაც იკითხა, რომელ ასაკში ვხდებით გულგრილნი სიყვარულის ცდუნებათა მიმართო. დედაბერმა ეგრევე მიუგო, ჯერ კიდევ არ ვიციო.

## სათნოებაზე

*სათნოების ცნებაზე შოუს კონსერვატიული შეხედულება ჰქონდა, ამასთანავე, არ უარყოფდა, რომ ადამიანის სილამაზეს იმისივე სული წარმოადგენს. ამავე დროს იმას მშვენივრად ესმოდა, რომ არცრა ადამიანური იმისთვის უცხო არ იყო, ასე, მაგალითად, ცდუნება – ეს მხოლოდ ჩარჩოთა ნაირნაირობის საკითხია, ყველას თავისი ჩარჩო აქვსო.*

* * *

სათნოება სხვა არა არის რა, თუ არა არასაკმარისად ძლიერი საცდური.

* * *

სათნოება ის კი არ არის, რომ თავი შევიკავოთ ცოდვის ჩადენისგან, არა, სათნოება ის არის, რომ ცოდვის ჩადენა არა გვწადდეს.

* * *

სათნოება ვნებათა უქონლობაში კი არა, ვნებათა მართვაშია.

* * *

უმდაბლესნი ზნეობამდე ვერ მაღლდებიან, უმაღლესნი კი ზნეობამდე ვერ მდაბლდებიან.

* * *

პაცები სულ იმის ფიქრში არიან, რომ შეუბრალებელნი იქნებიან თავიანთი მტრების მიმართ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, თურმე ჭეშმარიტად უხეირო ადამიანები ისევე იშვიათად გვხვდებიან, როგორც ჭეშმარიტად კარგები.

* * *

ძველი ყაიდის ხალხი ჰგონებს, რომ ადამიანებს სული უფულოდ უარსებებს. იმ ხალხს ჰგონია, რაც უფრო ნაკლები ფული გაქვს, მით უფრო მეტი გაქვს სული. ჩვენი დროის ახალგაზრდობა კი სხვა აზრისაა, სული, მოგეხსენებათ, ძალიან ძვირი გვიჯდება. სულის ქონა გაცილებით უფრო ძვირია, ვიდრე, ვთქვათ, ავტომობილი.

* * *

ინგლისელი დარწმუნებულია, ზნეობრივ მოვალეობას ვასრულებო, არადა, მხოლოდ უხერხულ მდგომარეობას ითმენს.

* * *

უღირსებობის მხრივ იერარქია ისევე მრავალსაფეხურიანია და ისევე მკაცრად დაცულია, როგორადაც წოდებათა იერარქია: მორალისტის წარმოდგენა, რომ არის სიღრმეები, რომელთა ზედაც არსებობას წყვეტენ ზნეობრივი კატეგორიები, ისევე ცრუა, როგორადაც მდიდრის წარმოდგენა, რომ სიღარიბეში არც სნობიზმია და არც კიდევ პატივმოყვარეობა.

* * *

ამერიკელნი იმიტომ მიიჩნევიან ამქვეყნად ყოვლის უფრო ზნეობრივ ხალხად, რაკი, თუ არ მუშაობენ, ისე ილეშებიან, რომ მაცდუნებლის ხმები არ ეყურებათ.

* * *

მე არცროდის ცდუნებას არ ვეწინააღმდეგები, რამეთუ აღმოვაჩინე, რომ რაც ჩემთვის მავნებელია, იმას ჩემი შეცდენა არ ძალუძს.

* * *

თავგანწირვა სხვათა გაწირვის საშუალებას გვაძლევს სინდისის უქენჯნელად.

* * *

უკეთუ თავგანწირვა იმათი გულისთვის დაიწყე, ვინც გიყვარს, მაშინ იმათ მიმართ სიძულვილით დაამთავრებ, ვისაც მსხვერპლად შესწირე თავი.

* * *

ყოვლის უფრო დიდი ცოდვა მოყვასის მიმართ არა სიძულვილი, არამედ გულგრილობაა, რაც არაადამიანურობის ჭეშმარიტი მწვერვალია.

## ბედნიერებაზე

*ბედნიერება შოუსთვის, თუ შეიძლება აგრერიგად გამოხატვა, ამქვეყნად ქმნისა და დამსახურების ნაყოფია. არადა, იბედივი რომ იყვეს, ანუ შემთხვევითიო, ამბობდა იგი, შრომა-რუდუნებით არ იყვეს მოპოვებულიო, თვალსა და ხელს შუა ისე გაგიქრებოდა, როგორც რომ სიმდიდრეო. ამას გარდა, ბედნიერების შემჩნევა და მუდმივად დანერგვა უნდა შეგეძლოს, მხოლოდ მაშინ გახდება ბედნიერება უტყუარიო.*

* * *

ბედნიერებაც და სილამაზეც არაძირითადი ნაწარმია.

* * *

ბრიყვნი მზად არიან ამქვეყნად ყველაფრის გასაწირად ორი რამის გულისთვის: ბედნიერებისა და თავისუფლებისთვის, მაგრამ მალევე ისჯებიან იმით, რომ თურმე ბედნიერების განცდის უნარი არა აქვთ, ხოლო რა უნდა მოუხერხონ თავისუფლებას, გაგებაში არ არიან.

## „სიცილი ჩემი მახვილია, ჩემი ჯვარი და ლახვარია“



**ასე ამბობდა ბერნარდ შოუ**

**ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა**

* * *

– ადამიანი თუ ჯანმრთელია და მიზანი აქვს, ის არც უფიქრდება, ბედნიერია თუ არა.

– ხან ის იმასაც კი არ უფიქრდება, ბედნიერნი არიან თუ არა სხვანი.

* * *

ყველაზე უფრო შემზარავი რამ ბედნიერებაა (იმაზე უფრო საშინელი მხოლოდ უბედურებაა); ბოლოს და ბოლოს იქ იტეხენ კისერს ორატორიათა ავტორები – გუნოდან და მენდელსონიდან მოკიდებული ჰენდელამდე.

* * *

ბედნიერებას ვერ ვიყენებთ, უკეთუ არა ვნერგავთ, როგორც ვერ ვიყენებთ სიმდიდრეს, თუ შრომით არ ვინაგრებთ.

* * *

ბედნიერებას ადევნებულნი თუ ოდესმე დაეწიეთ და მოიხელთეთ, იმ თავისი სათვალის მძებნელი დედაბერივით აღმოაჩენთ, რომ ბედნიერება სულ მუდამ ცხვირზე გესკუპათ.

* * *

ჩვენ უფლება არა გვაქვს, ბედნიერებას ვიყენებდეთ, თუკი არ ვაწარმოებთ.

* * *

ჩვენთა უბედურებათა საიდუმლოება ის არის, რომ მეტისმეტად მოცლილნი ვართ იმისთვის, რათა ვიფიქროთ, ბედნიერნი ვართ თუ არა.

* * *

მესმის, იქნებ ცუდიც არის, წინდაწინ შორს რომ გავიყურები, რათა ქალს ბედნიერება ვაჩუქო, მაგრამ ჩვენ, ვისაც დიდი კაცები გვეთქმის, განა გვჭირდება კი ბედნიერება? საქმენი – აი, რაც ჩვენ გვაღელვებს.

## ფულზე

**შოუ ვარაუდობდა, რომ ფული ყველანაირი ბოროტების ფესვია, უფრო ზუსტად, ფულის ნაკლებობა. სიღარიბეს კი ის წარმოიდგენდა ერთ-ერთ უდიდეს მანკიერებად. ფულზე იგი ლაპარაკობდა აგრეთვე როგორც ერთგვარ ინდიკატორზე, რომელიც ადამიანებში ააშკარავებს კეთილშობილებასა და სულმდაბლობას.**

* * *

ფული მთავარი რამ არის ცხოვრებაში, და ეს აქსიომა უნდა ესაძირკვლოს სუყოველ საღ ზნეობას – როგორც პიროვნულს, ისე ეროვნულს.

* * *

არც არასოდეს იმას არ ვთხოულობ, რისი ყიდვაც შემიძლია.

* * *

ადამიანი ერთადერთი ცხოველია, რომელიც თავის სიმდიდრეს აფასებს თავის პარაზიტთა ოდენობისა და იმათი გაუმაძღრობის ხარისხისდა მიხედვით.

* * *

იდეალისტები ჩვენს სამყაროშიც კი გვხვდებიან. იმათი შველა მხოლოდ ერთი ხერხით არის შესაძლებელი – სუყველას მგრძნობიარე გულისა და საკმაოდ დიდმზითვიანი ქალი უნდა შევრთოთ.

* * *

თუ ნაცნობისგან ხუთი ფუნტი ვისესხე და გასტუმრების თავი არა მაქვს, იმ ნასესხებს ისევ ხუთ ფუნტად ვყიდი, ეს კი ხელსაყრელი არ არის. ეს დაახლოებით იგივეა, ნათქვამი რომ არის – თხა ვიყიდე, თხა გავყიდეო...

* * *

როცა კი მავანთა მძიმე ფინანსური მდგომარეობიდან დახსნა მოხდება, სიძულვილი, რასაც მე იმათ მიმართ განვიცდი, შეიძლება რომ ოდენ იმ სიძულვილს შეედაროს, რასაც ისინი ჩემ მიმართ განიცდიან.

* * *

ფულის საყოველთაო პატივისცემა ერთადერთი რამ არის ჩვენს ცივილიზაციაში, რაც გვაიმედებს, ერთადერთი საღი ადგილია ჩვენს საზოგადოებრივ შეგნებაში. ფული ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, რაც რამ ქვეყნად არის. ფული ჯანმრთელობის, ძალ-ღონის, ღირსების, სიუხვისა და სილამაზის იმდენადვე კანთიელი და უდავო გამოხატულებაა, რამდენადაც სნეულებანი, სისუსტე, უპატიოსნება, სულმდაბლობა და სიმახინჯე გამოხატავენ ფულის ნაკლებობას. ფულის ღირსებათაგან სულაც არა უკანასკნელია ის ღირსება, რომ სულმდაბალ ადამიანთ ისევე მუდმივად ნადგურყოფს, რა მუდმივობითაც აძლიერებს და აღამაღლებს კეთილშობილ ადამიანიშვილთ. და მხოლოდ ოდეს ფული ზოგიერთების თვალში გაუფასურების დონემდე იაფდება და სხვათა თვალში მიუწვდომლობის დონემდე ძვირდება, ოდენ მაშინ ხდება ფული წყევლა-კრულვის საგანი.

* * *

ვინც თავისი შრომითა და ოფლით უშოვნელ ფულს გასცემს, ის დიდსულოვნად ფლანგავს სხვის შრომას.

* * *

ფულის ნაკლებობა ყოველგვარი ბოროტების ბორჯი და ფესვია.

* * *

ვალი ყოველგვარ სხვა ხაფანგსა ჰგავს: შესვლით იოლად შეხვალ, მაგრამ გამოსვლა საკმარისად ძნელი საქმეა.

## ლიტერატურაზე

*ინგლისის მწერლობის ისტორიაში დრამატურგ ბერნარდ შოუს სახელი მნიშვნელობისა და აბრუ-ავტორიტეტისდა მიხედვით შედარებულია უილიამ შექსპირის სახელთან – ამით კი ყველაფერია ნათქვამი! შოუმ თავისი მკაფიო ნიჭიერებით ახალი ფურცელი გადაშალა მეოცე საუკუნის მწერლობაში და სამართლიანად ითვლება თავისი ეპოქის საუკეთესო დრამატურგად!*

* * *

ანატოლ ფრანსს რომ ვესაუბრებოდი, მან მკითხა, რად მიგაჩნია შენი თავიო?

– გენიოსად, როგორც შენ-მეთქი, – თვალის დაუხამხამებლად ვუთხარი.

თუმცაღა თავისი ფრანგული კეთილზნიანობისა გამო ჩემი ნათქვამი ეგრევე გამიტრიზავა:

– რას იზამ, მეძავსაც შეუძლია იმის თქმა, რომ სიამოვნებით ვაჭრობს.

სულაც არა მწყენია, შემოქმედი ხალხიც ხომ იმით შოულობს ცხოვრების სახსარს, რომ სიამოვნებით ვაჭრობს და არა იმით, რომ ფილოსოფობს და წინასწარმეტყველებს.

**(გაგრძელება იქნება)**

*ქვეყანა შედგება უსაქმურთაგან, რომელთაც ხელის გაუნძრევლად უნდათ ფულის ქონა და ბოთეთაგან, რომელთაც არცროდის მუშაობა არ ესიკვდილებათ, ოღონდ გამდიდრება არ უნდათ.*



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №225-228

# აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოზე გაცვლა, არასწორია – მათ სხვადასხვა ფასი აქვთ



**„თბილისში შემოდგომა ნოემბერში იწყება. მიმდინარე ნოემბერში სრულდება 15 წელი ქართული „ვარდების რევოლუციიდან“ — პირველი ფერადი რევოლუციიდან პოსტსაბჭოთა სივრცეში. „ვარდების რევოლუცია“ კი იმიტომ ეწოდა, რომ მაშინ დემონსტრანტებისა და პოლიციის ურთიერთშეხლა-შემოხლა მაქსიმალურად მშვიდობიან ხასიათს ატარებდა, ხოლო საპროტესტო აქციის მონაწილეები წესრიგის დამცველთა ფარებს ვარდებს უპირისპირებდა. ისტორიაში შესული მოვლენის აღსანიშნავად თბილისის ერთ-ერთ მოედანს ბოლო დრომდე „ვარდების მოედანი“ ერქვა, დღეს კი იქ ახალი ძეგლი დგას — ველოსიპედი სხვადასხვა მიმართულების მქონე საჭით , რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო, რომელიც ევროპა-აზიის გზაგასაყარზე მდებარეობს, ორივე მიმართულებითაა გახსნილი. თუმცაღა, ამჟამინდელი ვითარების გათვალისწინებით, ველოსიპედი უფრო სხვა ფაქტის სიმბოლოს მოგვაგონებს: საქართველოში უკვე რამდენიმე წელია, ერთ ადგილზე ტკეპნა გრძელდება, მიმდინარეობს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკური დეგრადაცია“,** — ასე იწყება რუსეთის ერთ-ერთ პოპულარულ გაზეთ „Московский комсомолец“-ში გამოქვეყნებული ვრცელი პუბლიკაცია.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ოლეგ ბონდარენკოს ავტორობით გამოქვეყნებული მასალის ქართულენოვან რეზიუმეს:

პუბლიკაციაში გადმოცემულია ის პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ ჩამოყალიბდა. ავტორი წერს, რომ არჩევნებს ყურადღებით აკვირდებიან ვაშინგტონიდან — სოციოლოგიური გამოკითხვები ძირითადად სწორედ ამერიკული სააგენტოების მონაწილეობით მზადდება. პრეზიდენტობის კანდიდატების — სალომე ზურაბიშვილისა და გრიგოლ ვაშაძის ბიოგრაფიების გადმოცემისას, აღნიშნულია, რომ ორივე კარიერული დიპლომატები არიან და ორივეს ევროატლანტიკური ორიენტაციები აქვთ. ამასთან ხაზგასმულია, რომ გრიგოლ ვაშაძე თვით 2008 წლის ომის დროსაც და შემდეგაც კი — 2010 წლამდე ინარჩუნებდა რუსულ პასპორტს და რუსეთის მოქალაქე იყო. სტატიაში ციტირებულია გრ. ვაშაძის იმდროინდელი განცხადება რუსეთის მოქალაქეობასთან დაკავშირებით: **„მე ხომ რუსეთის მთავრობის მოქალაქეობა არ მაქვს. მთავრობები მიდიან, რუსეთი და რუსი ხალხი რჩება“** (თითქმის სტალინისეებურად!). იქვე ნათქვამია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნების გარანტს წარმოადგენს.

**„ამჟამად გრიგოლ ვაშაძისა და სალომე ზურაბიშვილის ერთმანეთთან კონკურენცია შეიძლება ავატართა ბრძოლას შევადაროთ“,** — წერს ავტორი, — პირველი მიხეილ სააკაშვილის ინტერესებს ატარებს, მეორე კი — ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილისას. ცხადია, მიხეილ სააკაშვილს საქართველოს ხელისუფლებაში დაბრუნება სურს, მაგრამ დღეს ქვეყნის რეალურ „ხაზეინად“ 2013 წლიდან მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი ითვლება. პარლამენტის შენობის წინ კარავი დგას, იქვე არის 10-მდე ადამიანი, თბილისელი „ჰიპსტერები“, ისინი „ვარდების რევოლუციის“ უკანასკნელი ჯარისკაცები არიან — მათ ეტიკეტები აქვთ მიწებებული — „რუსეთი ოკუპანტია“. იქვე ბიძინა ივანიშვილის სურათთან ერთად ვლადიმერ პუტინისა და ნიკოლაი პატრუშევის სურათებიც მოჩანს. ამით მათ სურთ იმის გამოხატვა, რომ ბიძინა ივანიშვილი კრემლის აგენტია“, — აღნიშნავს ავტორი და იქვე პოსტკრიპტუმის სახით მინაწერს აკეთებს:

„მკითხველს შეიძლება კითხვა დაებადოს: „როგორია რუსეთთან დამოკიდებულება? რომელ კანდიდატს ექნება მოსკოვთან ურთიერთობის დარეგულირების შესაძლებლობა? საერთოდ, საქართველოში ასეთ პოლიტიკოსად ყველა შეიძლება ჩაითვალოს, თუ მასთან ვიმუშავებდით. ვინმეს აქვს წაკითხულ-მოსმენილი წინადადებები, მათ შორის ნინო ბურჯანაძისგანაც — საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების დატოვება ინვესტიციებისა და კონფლიქტების გაყინვა-მოგვარების სანაცვლოდ? აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გაცვლა მთლიანად საქართველოზე, რბილად რომ ვთქვათ (არასწორია) — მათ სხვადასხვა ფასი აქვთ. თბილისი დღესაც რუსული კულტურის ქალაქია, თუმცა ბოლო დროს იქ სულ უფრო ხშირად ვხედავთ ჰიჯაბიან ტურისტებს ახლო აღმოსავლეთიდან ხოლო ზოგიერთ ქუჩაზე უკვე ირანელი რესტორატორები დომინირებენ.

**რუსეთი და საქართველო დღეს ალექსანდრე პუშკინის, მიხეილ ლერმონტოვისა და ალექსანდრე გრიბოედოვის ლიტერატურულ მემკვიდრეობას წარმოადგენენ, რასაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ თავიანთი აქტუალობა. თევდორე შალიაპინიც ხომ თბილისში იქცა მომღერლად — მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ბოჰემურ ქალაქში, საბჭოთა და რუსეთის იმპერიების პერიოდის ჩათვლით“,** — ნათქვამია სტატიაში.

**„MK.RU“(რუსეთი)**

# რუსეთში სოციალურმა უთანასწორობამ 1905 წლის დონეს მიაღწია

**2017 წელს რუსეთში, პოსტსაბჭოთა პერიოდში, ყველაზე დაბალი ინფლაცია — 2,5% აღირიცხა.**

რუსეთის უმაღლესი ეკონომიკური სკოლის დირექტორის სვეტლანა მისიხინას თქმით, ინფლაციამ გამოიწვია ის, რომ 2006 წლიდან სოციალური უთანასწორობა ყველაზე დაბალ დონემდე დავიდა. როსსტატის მონაცემებით, ამ პერიოდში ჯინის კოეფიციენტმა (ქონებრივი უთანასწორობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და სანდო ინდიკატორი) შეადგინა 0, 410 — ამაზე დაბალი ეს მაჩვენებელი იყო მხოლოდ 2005 წელს — 0,409.

2018 წელს უთანასწორობის დონის სწრაფი ზრდა გაგრძელდა. ინფლაციის დაჩქარებისა და საბიუჯეტო სფეროში ხელფასების ზრდის შენელების გამო, 2019 წლისთვის უთანასწორობის დონე საგრძნობლად გაიზრდება.

2018 წელს ჯინის კოეფიციენტი გაიზარდა 0,400-დან 0,402-მდე, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ მოსახლეობის ყველაზე შეძლებული 20%-ის შემოსავლები ბევრად უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ყველაზე გაჭირვებული 40%-ის. ეკონომიკის უმაღლესი სკოლის კვლევამ აჩვენა, რომ შემოსავლების სტრუქტურაში ყველაზე სწრაფად (6,3%) იზრდება ე.წ. „ნაცრისფერი“, ანუ, არადეკლარირებული ხელფასები. ნაკლებია ზრდა ისეთ სეგმენტებში, როგორიცაა სამეწარმეო შემოსავლები (1,55%) და სოციალური შემწეობები (2,5%).



საკუთრებისგან მიღებული შემოსავლები შემცირდა 7,4%-ით. ეკონომიკის უმაღლესი სკოლის პროგნოზით, 2019 წელს რუსეთში ინფლაცია გაიზრდება 5,1%-მდე, ხოლო ქვეყნის ცენტრალური ბანკის ვარაუდით, ეს მაჩვენებელი მიაღწევს 6%-ს, რაც დაკავშირებულია 2019 წელს დღგ-ს განაკვეთის 20%-მდე ზრდასთან. ამასთან ეკონომიკის სამინისტროს პროგნოზით, 2019 წელს ხელფასების ზრდა თითქმის შეწყდება და შეადგენს 1,4%-ს.

**„ამიტომ სამომხმარებლო ინფლაციის ზრდა და ხელფასების ფაქტობრივი გაყინვა იწვევს უთანასწორობის დონის საგრძნობ მატებას,“** — თვლის სვეტლანა მისიხინა.

ფინანსური კვლევების ინსტიტუტის დირექტორის ვლადიმერ ნაზაროვის განცხადებით კი, 2005 წლიდან ჯინის კოეფიციენტი მცირდებოდა და ამჟამინდელი ზრდაც არ იქნება დრამატული — ის გაიზრდება, თუმცა უმნიშვნელოდ.

**„2018 წელს დაფიქსირდა ხელფასების ზრდა საბიუჯეტო სფეროში, რაც 2019 წელს არაა მოსალოდნელი. რა თქმა უნდა, ეს გამოიწვევს უთანასწორობის ინდექსის ზრდას, რის გამოც ქვეყნის ფინანსური პრობლემებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, უთანასწორობის ზრდაც გაგრძელდება. შესაძლებელია, ჯინის კოეფიციენტის ზრდა ნაწილობრივ მაინც შეაჩეროს დაგეგმილმა საპენსიო რეფორმამ,“** — განაცხადა ნაზაროვმა.

საერთაშორისო კვლევის World Inequality Report-ის თანახმად, 2018 წლის რუსეთის სოციალურმა უთანასწორობამ მიაღწია 1905 წლის დონეს. კერძოდ, მთლიანი ეროვნული შემოსავლის 45,5%-ს ფლობს მოსახლეობის ყველაზე შეძლებული 10% — რაც თითქმის მთლიანად ემთხვევა 1905 წლის მაჩვენებელს.

საშუალო სტატისტიკური რუსის შემოსავალი 2017 წელს წელიწადში 23 000 ევროს შეადგენდა, ანუ 55 000 რუბლს თვეში. თუმცა ეს მხოლოდ თეორიულად — შემოსავლები ნაწილდება არათანაბრად — მოსახლეობის 50%-ზე (57,5 მლნ. ადამიანი). რეალური და არა სტატისტიკური შემოსავალი შეადგენს მხოლოდ 7 800 ევროს წელიწადში, მაშინ, როდესაც ყველაზე შეძლებული 10%-ის შემოსავალმა წელიწადში 105 500 ევროს მიაღწია.

RBC

## გერმანიაში საგარეო საქმეთა მინისტრისა და პოლიტიკური ლიდერების ლიკვიდაცია იგეგმებოდა

**გერმანელმა ძალოვანებმა სკანდალური სქემა გაშიფრეს, რომელსაც შეიარაღებული ძალების და სპეცრაზმის წარმომადგენლები ამზადებდნენ. გერმანული მედიის ინფორმაციით, შეთქმულების ორგანიზატორები საგარეო საქმეთა მინისტრის ჰაიკო მაასის, ყოფილი პრეზიდენტის იოახიმ გაუკის, ასევე მემარცხენეთა ფრაქციის და მწვანეთა პარტიის ლიდერების ლიკვიდაციას გეგმავდნენ.**

**ეს პოტენციური მსხვერპლის არასრული ჩამონათვალია. ძალოვანებმა შეთქმულების მონაწილეთა საიდუმლო მიმოწერას მიაკვლიეს, სადაც ისინი კონკრეტულ თარიღს ასახელებდნენ და ლიკვიდაციის მიზნით პოლიტიკოსების ერთ ლოკაციაზე შეკრებას აპირებდნენ. მათ იარაღის სამალავებიც ჰქონდათ მომზადებული. შეთქმულების ორგანიზატორების ვინაობა არ სახელდება, თუმცა ცნობილია, რომ მათ შორის სამხედრო დაზვერვის პოლკოვნიკიც იყო. სკანდალურ ინფორმაციაზე ანგელა მერკელის ადმინისტრაცია კომენტარს არ აკეთებს.**

# საქართველოში ერთადერთი მედიამუზეუმი




**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრმა“ „მედიამუზეუმის“ („საქართველოს მასმედიისა და პოლიგრაფიის მუზეუმი“) ექსპონატების გამოფენა ზუგდიდის მაცი ხორავას სახელობის „არტ-გალერეაში“ გამართა.**

**ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო 500-ზე მეტი დასახელების ბეჭდური მედიასაშუალება, ჟურნალ-გაზეთების მატიანეები, ჟურნალისტების საავტორო წიგნები, მოსაწვევი ბარათები, ქების სიგელები, ფოტოაპარატები, ფოტო და კინოფირები, უხმო ვიდეოაპარატი, საბეჭდი მანქანა, ფაქსი. პოლიგრაფიის ექსპონატები: კლიშეები, ანუ „ქუდები“, ლინოტიპის მასალები, გამჟღავნებული ფოტოფირი, რეტუშირებული ფოტოკადრი, ცინკოგრაფია, პოლიეთილენის ფოტოკადრი, კალკა და სხვ. გამოფენილი ჟურნალ-გაზეთები ენობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა: ქართული, მეგრული, სვანური, აფხაზური, რუსული, ფრანგული, გერმანული, ინგლისური.**

„მედიამუზეუმის“ ექსპონატების გამოფენა „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის“ მუზეუმების განყოფილების უფროსმა, მწერალმა **გია ჯიჟონაიამ** გახსნა.

„მედიამუზეუმის“დაფუძნების შესახებ ისაუბრა მისი შექმნის ინიციატორმა, საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის წევრმა **მარინე დამენიამ**:

— ჟურნალისტები საზოგადოებაში დემოკრატიის განვითარებისათვის, ინფორმაციის დროული მიწოდებისათვის დღე და ღამე დაუზოგავად იღვწიან.




ჟურნალისტები ომის ქარცეცხლსაც წუთითაც არ არიდებენ თავს. ჟურნალისტების მიერ მოპოვებული ინფორმაცია, დაფიქსირებული ყოველი მოვლენა, ფაქტი, არგუმენტი, მომავალში ისტორიის ფურცლების საკუთრებაა.

ნებისმიერი ქვეყნის მედიაისტორია ნაწილია საერთაშორისო მედიაისტორიის და იგი ერთგვარად საინტერესოა ნებისმიერი ქვეყნის ჟურნალისტებისათვის. საქართველოს მასმედიამ თავისი არსებობის მანძილზე ომის, დაპირისპირების, ნგრევის, შენების ურთულესი გზა გამოიარა. თუ დღეს არა, ხვალ უკვე გვიან იქნება ამ მიმართულებით მუშაობა, რადგან ბევრი მათგანი დღესაც კი დაკარგულია და თვეობით გვიხდება ზოგიერთი მასალის მოძიება, ზოგიერთს კი საერთოდ ვერ ვპოულობთ.

ვერ გეტყვით, ზუსტად როდის დამებადა „მედიამუზეუმის“ შექმნის იდეა. თავიდან იყო ჟურნალ-გაზეთების კოლექცია, მერე გამიჩნდა სურვილი, დამეწერა ჩემი რეგიონის მედიაისტორია, მერე კი გაჩნდა „მედიამუზეუმის“ დაარსების იდეა...

„მედიამუზეუმის“ დაფუძნება მხოლოდ 2014 წელს გახდა შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ მედიამუზეუმი კავკასიაში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთია. მასში ინახება საქართველოს ჟურნალ-გაზეთები ანუ მედიაარქივი, ჟურნალ-გაზეთების მატიანეები, ჟურნალისტების, ფოტოკორესპონდენტების, ტელეოპერატორების, პოლიგრაფისტების საავტორო წიგნები, ნაშრომები, მემორიალური ნივთები, ფოტოარქივი. მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური მასალები, ავტოგრაფები... პოლიგრაფიის გარეშე წარმოუდგენელია ბეჭდვითი მედია... „მედიამუზეუმი“ არის და იქნება საქართველოს ჟურნალისტების, ფოტოკორესპონდენტების, ტელეოპერატორების, პოლიგრაფისტების ერთი დიდი სახლი, სადაც 10 000-ზე მეტი ექსპონატი ინახება.

არაერთხელ მქონდა შემოთავაზება, რომ „მედიამუზეუმი“ გადამეტანა თბილისში, მაგრამ უარი ვთქვი. ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ბოლო ყრილობაზე (2017 წლის მარტი) წესდებაში შევიტანეთ ცვლილება, რომ „მედიამუზეუმი“ უკვე დაფუძნდა ზუგდიდში და არ გაიხსნება სხვა ფილიალები. რატომ? თუ ყოველ ქალაქში გავხსნით მუზეუმის ფილიალებს, ის ვერ გახდება ერთი მთლიანი ორგანიზმი და დაკარგავს იმ ფუნქციას, რაც მას აკისრია. ბერლინისა და ნიუიორკის „მედიამუზეუმი“ იმიტომაა ძლიერი, რომ მათ მხოლოდ თითო-თითო მუზეუმი აქვთ...

სიტყვით გამომსვლელებმა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროცესებში მათი როლის შესახებ ისაუბრეს.

„„ამ გამოფენაზე როგორც მედიის, ისე მთელი ქვეყნის ისტორიაა წარმოჩენილი. წარმომიდგენია, სხვადასხვა დროს, რაოდენ დიდ შრომას გაწევდნენ ჩვენი ღვაწლმოსილი ჟურნალისტები, რომელთაც სიტყვის თავისუფლება ეზღუდებოდათ და ხშირად მსხვერპლის გაღებაც კი უწევდათ. დღეს, როგორც არასდროს, მედია თავისუფალია და უნდა გავუფრთხილდეთ ამას,“ — განაცხადა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილემ **ნინო ვიბლიანმა**.

**ნაზი ქორთუა,** ფილოლოგი, ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის მცველი: — ზუგდიდის დადიანების მუზეუმში დაცული პრესა მხოლოდ სპეციალისტებისა და დაინტერესებული პირებისთვის იხსნება. ქალბატონი კლარა და განსაკუთრებით მარინა წლების განმავლობაში სიცივეში, სიცხეში, მტვერში ჩვენთან ერთად ისხდნენ დილიდან საღამომდე და მუშაობდნენ, რა თქმა უნდა, ის თავის საქმეს აკეთებდა, ჩვენ კი ჩვენსას. ასეთ პირობებში საფუძველი ჩაუყარეს ამ დიდ საქმეს. მე ძალიან კარგად გამეგება, რაა ჟურნალისტის ცხოვრება, რადგან, თავად ჟურნალისტების გარემოცვაში გავიზარდე. მამა ხშირად აღნიშნავდა, თუ როგორი დაუფასებელი შრომაა და შენ უნდა გააკეთო ეს, თან ძალიან მაღალ დონეზე. არ უნდა იყოს არავითარი ლაფსუსი. ის მოითხოვს როგორც ერუდიციას, ისე განათლებას, ადამიანობას, ადამიანებთან კომუნიკაციას. შენ უნდა იდგე ყველაზე მაღლა, შენ უნდა გაუგო ყველას, შენ უნდა მოისმინო ყველასგან, რადგან ვალდებული ხარ, გააკეთო. და მე მინდა, ამ „მედიამუზეუმის“ ფუძემდებელსა და შესანიშნავ ხელმძღვანელს, ქალბატონ მარინე დამენიას მივულოცო ეს პირველი შთამბეჭდავი გამოფენა.

**ლაშა გვასალია,** მწერალი, პოეტი, ჟურნალისტი: „ერსა და ქალაქს, რომელსაც მუზეუმი არა აქვს, წარსულიც არა აქვს, არა აქვს არაფერი გასახსენებელი. ევროპაში არის ოთხი ქალაქი, რომელსაც მუზეუმი არ გააჩნია, რადგან მას არა აქვს ისტორია და იგი მიბმულია



სხვის კულტურასა და წარსულზე. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ჩვენს სოფლებსაც ჰქონდა საკუთარი გაზეთი, ამით ცდილობდნენ თავისი კულტურის, სოფლის ისტორიის წარმოჩენას, თავისი სიტყვის ხმამაღლა თქმას, იმ დიდ საქმეში, რასაც ბეჭდური მედია ჰქვია. ამიტომაც ბევრი რამ გვქონდა და გვაქვს სათქმელი არა მარტო ბეჭდური მედიის მიმართულებით, არამედ სხვა მიმართულებითაც, იმიტომ რომ, ბეჭდური მედია არ არის მხოლოდ ერის სულიერი და კულტურული ინტერესის გამომხატველი, ეს მხოლოდ ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც აუცილებელია. აქ ჩანს ის, თუ რანი ვიყავით. მედია გვიჩვენებს, თუ როგორ ვითარდებოდა ამ ქვეყანაში კულტურა. მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ არ არსებობს ერი, ნაცია, რომელსაც საუკუნის განმავლობაში ამდენი დასახელების ბეჭდური მედია ჰქონოდა, რამდენიც ჩვენ გვაქვს. მარტო ზუგდიდს 160-ზე მეტი დასახელების ბეჭდური მედია აქვს. ხობი ხომ ძალიან პატარა ქალაქია, ხობში დღესაც გამოდის ოთხი დასახელების გაზეთი, ადრე ჰქონდა 40 დასახელების გაზეთი, აქედან, ეროვნული მოძრაობის 16 გაზეთი გამოდიოდა.

ჩვენი ინტელიგენცია, სტუდენტობა, ლექტორ-მასწავლებლები, ასპირანტები, მეცნიერმუშაკები ყველაფერზე ვერ წავა თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. რეგიონში ხომ უნდა იყოს თუნდაც ერთი ისეთი ადგილი, სადაც ადამიანი თვალის გახედვნას შეძლებს. ქალბატონმა მარინემ კარგ საქმეს ჩაუყარა საფუძველი და აუცილებელია, ხელი შევუწყოთ მის განვითარებას.

**კოტე ჭილაია,** ისტორიკოსი, ჟურნალისტი, მთარგმნელი: ამ გამოფენამ ჩემი მრავალწლიანი ჟურნალისტური მოღვაწეობის ნოსტალგია გამიმძაფრა. აქ დამხვდა ის სუნი, ბეჭდვის დროს გაცხელებული პოლიგრაფიის მასალები რომ გამოსცემდა. ამ ფოტოაპარატების კოლექციას რომ ვუყურებ, ძალიან კმაყოფილი ვარ... ბევრმა ახალგაზრდამ არ იცის მათი სახელწოდებაც კი. რამდენი ხანია, ეს აპარატი არ მინახავს. აქ წარმოდგენილი ექსპონატები იშვიათობაა. გაივლის კიდევ 10 წელი და ამას ახალი თაობა ვერასდროს ვერ ნახავს, თუ მუზეუმებში არ შევინახავთ. მართალი ბრძანა **კონსტანტინე გურგულიანმა,** როცა თქვა, — „სულ მალე ციფრული ტექნიკა ყველაფერს წაშლის და არაფერი არ გვექნება“. ეს გაზეთები კი არის ჩვენი წარსულის დიდი მოგონება, მატიანე.

**როლანდ მაქაცარია,** საქართველოს სპორტის ოსტატი, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი ფეხბურთში, სპორტბატალიონ „ლაზის“ მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი, ზუგდიდის სპორტის მუზეუმის ფუძემდებელი: მინდა, მარინე დამენია სხვა კუთხით გაგაცნოთ. მარინე იყო ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი. როდესაც სამშობლოს დასჭირდა, იგი უყოყმანოდ ჩადგა ეროვნული გვარდიის რიგებში და იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთში. სწორედ ასეთ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებს უჩნდებათ ახალ-ახალი იდეები, ინიციატივები. თავიდან ყველა ინიციატივა დასჯადია. ეს საქართველოში, თორემ სხვაგან, თუ საზოგადოება მიიღებს და მოეწონებათ იდეა, ამაში უზარმაზარ ფულს უხდიან. აი, ეს განსხვავებაა ჩვენსა და განვითარებულ ქვეყნებს შორის.

**ნიკოლოზ ფიფია,** იურისტი, სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის“ საქმისწარმოების, იურიდიული, ადამიანური რესურსების და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი: „დღევანდელმა დღემ დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ადამიანმა, რომელსაც არავისგან ხელშეწყობა არ ჰქონია, თავისი ცოდნით, ენთუზიაზმით ოცნებები რეალობად აქცია და შექმნა „მედიამუზეუმი“. ამით დაგვიმტკიცა, თურმე შესაძლებელია, თუ სურვილი და პასუხისმგებლობა გაქვს ყველაფრის ნულიდან დაწყება და ოცნებები რეალობად აქციო. ჩემთვის ეს მისაბაძი მაგალითია და ბევრისთვის უნდა იყოს მისაბაძი. ადამიანები ვერ მალავდნენ აღფრთოვანებას, ძალიან ემოციური მომენტი იყო, როდესაც მუზეუმს სამი ექსპონატი შესწირეს. ალბათ, დიდმა სიყვარულმა, დაფასებამ და ნდობამ განაპირობა, იმ ინიციატივის გაჟღერება, რომ სურვილი გაუჩნდათ, მარინე დამენია კიდევ ერთ, ფილატელისტების, ანუ მარკების მუზეუმს ჩაუდგეს სათავეში.

„მედიამუზეუმის“ („საქართველოს მასმედიისა და პოლიგრაფიის მუზეუმი“) ექსპონატების პირველი გამოფენა დაათვალიერეს რეგიონის მედიის წარმომადგენლებმა, გუბერნატორის აპარატის თანამშრომლებმა, ქალაქის ინტელიგენციამ, კულტურისა და თვითმმართველობის წარმომადგენლებმა.

მუზეუმმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

**ცოტნე ქართველიშვილი,**
**ზუგდიდი-თბილისი.**

წინ, საქართველოვ!

# ლაშა ტალახაძის ფენომენალური შედეგი



**წლეულს ზაფხულს ტაშკენტში ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ კონგრესზე მიიღო გადაწყვეტილება, 2018 წლის პირველი ნოემბრიდან ახალი წონითი კატეგორიები შემოეღო.** თან თითოეული წონისთვის მსოფლიო სტანდარტები დააწესა, რომელთა გადამეტება ახალ რეკორდებად ჩაითვლებოდა. მძიმე წონისთვის (+109) ეს მაჩვენებლები იყო: ატაცში — 210 კგ, აკვრაში — 250 კგ, ორჭიდში — 453 კგ. არავის ეჭვებოდა, რომ ქართველი გოლიათი, რიოს ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული, ევროპის სამგზის და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ლაშა ტალახაძე მსოფლიოს ჩემპიონობას მესამედ მოიპოვებდა. ძალოსნობის ქომაგები მხოლოდ იმაზე ბჭობდნენ, ქართველი სპორტსმენი ტურნირზე რამდენ რეკორდს დაამყარებდა. ლაშამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: თურქმენეთის დედაქალაქში მან ჩემპიონატი ფენომენალური შედეგით დაასრულა — სამი ოქროს მედალი დაიმსახურა და მსოფლიოს შვიდი რეკორდი დაამყარა; აშხაბადის სპორტის სასახლეში პლანეტის უძლიერეს ათლეტთა ასპარეზობა ქართული ჰიმნით დაიხურა.

ქართველმა ძალოსანმა სტარტზე 207 კილოგრამი აიტაცა, მერე — 212 კილო, რაც ახალი წონის პირველი რეკორდი იყო — სტანდარტზე 2 კილოგრამით მეტი. რამდენიმე წუთში ლაშამ თავისივე მიღწევა 5 კილოგრამით გააუმჯობესა და ამ დისციპლინაში ვერცხლის პრიზიორ **გორ მინასიანს** (სომხეთი) 12 კილოგრამით აჯობა. საქართველოს ნაკრების კაპიტანი, რიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს და ევროპის ჩემპიონატის ოქროსმედალოსანი **ირაკლი თურმანიძე** 203 კილოგრამით მესამე ადგილზე გავიდა. აკვრის წინ დარბაზში მოთელვისას მას უწინდელი ტრავმა გაუმიზეზდა და შეჯიბრების გაგრძელება ველარ შეძლო.

ლაშა ტალახაძემ აკვრაშიც პირველივე ცდაზე თავისუფლად დაიმორჩილა 245-კილოგრამიანი შტანგა, რაც ამ მოძრაობაში მსოფლიოს სტანდარტზე 5 კილოთი ნაკლები იყო, მაგრამ ორჭიდში 462 კილოს მოუყარა თავი — მსოფლიოს სტანდარტზე ცხრა კილოგრამით მეტს და მესამე მსოფლიოს რეკორდი მიითვალა, მომდევნო ორი ცდისას კი 4 რეკორდს გამოჰკრა ხელი - ორს აკვრასა (252 და 257 კგ) და ამდენივეს ორჭიდში (469 და 474 კგ). 245 კილოგრამით მეორე-მესამე ადგილებზე რიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი გორ მინასიანი და უზბეკი რუსტამ ჯანგაბაევი გავიდნენ.

**+109 კგ. ორჭიდი.** 1. ლაშა ტალახაძე (საქართველო) — 474 (217+257), 2. გორ მინასიანი (სომხეთი) — 450 (205+245), 3. რუსტამ ჯანგაბაევი (უზბეკეთი) — 447 (202+245).

საქართველოს ნაკრებმა 3 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედლით საერთო გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავა. პირველი იყო ჩინეთის ნაკრები (9 ოქრო, 11 ვერცხლი და 5 ბრინჯაო), ხოლო მეორე ადგილი ირანს (5 ოქრო, 1 ვერცხლი, 2 ბრინჯაო) ხვდა.

**ლექსო ცინცაძე**

# ბუქარესტიდან - უხვი ნადავლით

**4 ოქროს, 1 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი — ასეთი ნადავლით დაბრუნდნენ სამშობლოში სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატიდან ქართველი მოჭიდავეები. ამ შეჯიბრებას რუმინეთის დედაქალაქმა უმასპინძლა. მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ ვახტანგ ჩიდრაშვილი (57 კგ), ნინო ოძელაშვილი (72 კგ), ელენე ქებაძე (+80 კგ) და ბექა ბერულავა (82 კგ); „ვერცხლი“ ბექა ბერძენიშვილს (+100 კგ), ხოლო „ბრინჯაო“ გივი ნადარეიშვილს (52 კგ), პაატა ღვინიაშვილსა (90 კგ) და დავით ლორიაშვილს (100 კგ) ერგოთ. ვაჟთა ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში მე-2, ქალებმა კი მე-3 ადგილი დაიკავეს.**



რეცენზია იმით გვინდა დავიწყოთ, რომ ნინო ოძელაშვილმა მორიგი ისტორიული გამარჯვება მოიპოვა: საჭიდაო სახეობებში იგი საქართველოდან პირველი მსოფლიოს ჩემპიონი ქალი გახდა. საგულისხმოა, რომ ნინო, ასევე, პირველი ევროპის ჩემპიონი ქართველი მანდილოსანია, თანაც ეს ტიტული მან ორჯერ დაიმსახურა.

ბუქარესტის მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ წრეში ოძელაშვილი ისვენებდა, მერე კი მსოფლიოს ჩემპიონები — რუსი ირინა ალექსეევა და უკრაინელი ნატალია სმალი დაამარცხა, ფინალში კი მასპინძელ ლორენა პოდელენჟკის 6:1 აჯობა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. გამარჯვების შემდეგ მან პირჯვარი გადაიწერა და ხალიჩაზე ქართული იცეკვა, რამაც მაყურებელი უწინდებურად აღაფრთოვანა.

ოძელაშვილს მხარი აუბეს თანაგუნდელებმა: ელენე ქებაძემ ფინალში ტიტულოვანი რუსი ანა ბალაშოვა დაამარცხა, ბექა ბერულავამ მსოფლიოს ჩემპიონი სერგეი კირიუხინი (რუსეთი) დაჯაბნა, ვახტანგ ჩიდრაშვილმა ულადისლაუ ბურძს (ბელარუსი) მოუგო და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს მეხუთედ დაეუფლა. გადამწყვეტი პაექრობა ბექა ბერძენიშვილმა არტიომ ოსიპენკოსთან (რუსეთი) დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

**ლაშა დიდია**

ჩოგბურთი

# გაგოშიძე კვიპროსში პირველია



**აია ნაპაში (კვიპროსი) დამთავრდა ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. გოგონათა შეჯიბრებაში შესანიშნავად იასპარეზა 15 წლის თბილისელმა თამარ გაგოშიძემ, რომელიც პირველ ნომრად იყო განთესილი.**

მან ზედიზედ ხუთი მეტოქე დაამარცხა — მასპინძელი მარია კონსტანტინუ — 6:1, 6:3, იტალიელი სარა დონინი — 6:0, 6:3, რუსი ანა კოლტუნოვა — 6:4, 7:6, მესამე ნომრად განთესილი ბრიტანელი შარლოტ რასელი — 6:3, 4:6, 6:2, პოლონელი ქსენია ლიპიეცი — 7:5, 6:3 და მთავარი პრიზი მოიპოვა.

**გივი გაგუა**

სუმო

# ტოჩინოშინის პირველი გამარჯვება



**ქართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ იგივე ტოჩინოშინმა ფუკუოკაში მიმდინარე ნოემბრის სუპერტურნირზე სტარტზე დამარცხების შემდეგ. პირველი გამარჯვება იზეიმა.**

ტოჩინოშინი, რომელიც კიუშიუ ბაშოს დასავლეთის მე-2 ოძეკის წოდებით შეხვდა, გუშინ, აღმოსავლეთის მე-3 მაეგაშირა ნიშიკიგის გაეჯიბრა და იორიკირით მოიგო.

ნოემბრის ბაშოს მე-3 დღეს ქართველი სეკიტორის პირისპირ აღმოსავლეთის პირველი მაეგაშირა მიოგირიუ დადგება, რომელსაც ჩვენებური ურთიერთშეხვედრებში 11:7-ს უგებს.

საინტერესოა, რომ გუშინ მიოგირიუმ იორიტაოშით აჯობა ტურნირზე მოასპარეზე ერთადერთ იოკოძუნა კისენოსატოს, რომელმაც უკვე მეორედ წაიფორხილა.

**კობა კობახიძე**

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**ეროვნული ლიგა. XXXII ტური.** „ლოკომოტივი“ — „საბურთალო“ 1:1, „დინამო“ — „ჩიხურა“ 1:4 (ამ მარცხის შემდეგ დინამოელთა თავკაცი კახი კაჭარავა მისმა ასისტენტმა ზაურ სვანაძემ შეცვალა“), „სამტრედია“ — „ტორპედო“ 0:8, „დილა“ — „კოლხეთი“ 1:0, „რუსთავი“ — „სიონი“ 0:3.

**სატურნირო მდგომარეობა:** „საბურთალო“ — 71, „დინამო“ — 63, „ტორპედო“ — 59, „ჩიხურა“ — 57, „დილა“ — 53, „ლოკომოტივი“ — 35, „სიონი“ — 31, „რუსთავი“ — 30, „სამტრედია“ — 21, „კოლხეთი“ — 14 ქულა. შეგახსენებთ, რომ ფოთელებს დაკლებული აქვთ 6 ქულა.

**ბომბარდირი:** გაბედავა („ჩიხურა“) — 20 გოლი.



* * *

**იტალია.** „მილანი“ — „იუვენტუსი“ 0:2, „ჯენოა“ — „ნაპოლი“ 1:2, „ატალანტა“ — „ინტერი“ 4:1.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ — „ბეტისი“ 3:4, „სევილია“ — „ესპანიოლი“ 2:1, „ატლეტიკო“ — „ბილბაო“ 3:2.

**ინგლისი.** „სიტი“ — „მანჩესტერი “ 3:1, „ლივერპული“ — „ფულჰემი“ — 2:0, „ჩელსი“ — „ევერტონი “ 0:0.

**გერმანია.** „დორტმუნდი“ — „ბაიერნი“ 3:2, „ვერდერი“ — „გლადბახი“ 1:3, „ლაიფციგი “ — „ლევერკუზენი “ 3:0.

**საფრანგეთი.** „მონაკო“ — „პარი სენჟერმენი“ 0:4.

**გიორგი შოთაძე**

რაგბი ჩვენი თამაშია!

# „ბორჯღალოსნებმა“ აპენინელები ვერ დალაშქრეს

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები 2003 წლის 6 სექტემბერს იტალიას სტუმრად დაუპირისპირდა. მართალია, პირველი ტაიმი ფრედ (13:13) დაამთავრა, მაგრამ საბოლოოდ ჩვენები 22:31 დამარცხდნენ. ცხადია, გასულ შაბათს, 15 წლის შემდეგ, „ბორჯღალოსნები“ ფლორენციაში „სტადიო არტემიო ფრანკიზე“ რევანშის წყურვილით გავიდნენ. ეს შეხვედრა პრინციპული იყო მასპინძელთათვისაც, რადგან ბოლო დროს ხშირად ბჭობენ, ეკუთვნის თუ არა საქართველოს ნაკრებს ექვსი ერის გათამაშებაში ჩართვა და განიხილება სხვადასხვა ვარიანტი. ყოველ შემთხვევაში, აპენინელთათვის ჩვენი გუნდის მომძლავრება აშკარად საფრთხის შემცველია. ქართველები თუ მზის ქვეშ ადგილის მოპოვებაზე ოცნებობენ, იტალიელებს რაგბის სამყაროსთვის უნდა ეჩვენებინათ, რომ „ბორჯღალოსნებს“ ექვს ერამდე ჯერ კიდევ შორი გზა აქვთ გასავლელი. მართალია, ტოსკანური ტესტ-მატჩი პრაქტიკულად არაფერს წყვეტდა, მაგრამ თეორიულად მასპინძლებმა საწადელს მიაღწიეს.**



„გვეძლევა მშვენიერი შესაძლებლობა, მთელ სარაგბო სამყაროს და განსაკუთრებით ექვს ერში გადაწყვეტილებების მიმღებთ კიდევ ერთხელ ვაჩვენოთ, რომ ქართულმა რაგბიმ დიდი პროგრესი განიცადა. ჩვენ კარგად გვაქვს გააზრებული, რომ შაბათს ფავორიტები არ ვიქნებით. ვიცით, წინ დიდი ბრძოლა გველის, მაგრამ ჩვენ ხომ სწორედ ბრძოლაში ვართ ბედნიერი“, — თქვა მატჩის წინ მილტონ ჰეიგმა.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს ნაკრებს იტალიაში რამდენიმე ათასი გულშემატკივარი ახლდა და სტადიონზე საოცარი გარემო შექმნა, შინ დარჩენილებმა კი მატჩს თბილისში პირველი რესპუბლიკის მოედანზე დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე მიადევნეს თვალი. სამწუხაროდ, მილტონ ჰეიგმა პრინციპული შეხვედრისთვის უძლიერესი შემადგენლობა ვერ შეკრიბა. ტრავმების გამო გუნდს აკლდნენ წამყვანი მოთამაშეები, მათ შორის — გიორგი ნემსაძე, კოტე მიქაუტაძე, ვიტო კოლელიშვილი, დავით კაჭარავა და მერაბ კვირიკაშვილი..

პაექრობა მასპინძელთა იერიშებით დაიწყო და მათ პირველი წუთებიდანვე მოიპოვეს უპირატესობა. მე-9 წუთზე იტალიელებმა ანგარიში ზუსტი საჯარიმო დარტყმით გახსნეს. ექვსიოდე წუთში თამაზ მჭედლიძემ ამ მატჩში პირველი ლელო გაიტანა, სოსო მათიაშვილმა კი უნაკლოდ გარდასახა და საქართველოს ნაკრები 7:3 დაწინაურდა. ამის შემდეგ ორთაბრძოლის სადავეებს აპენინელები დაეუფლნენ და ტაიმი 18:7 მოიგეს. მეორე ნახევარში თამაში უფრო თანაბარი იყო, რაზეც ანგარიშიც მეტყველებს — 10:10. საბოლოოდ იტალიელებმა 28:17 გაიმარჯვეს.

„ბორჯღალოსნები“ საშემოდგომო ტესტ-სერიის მორიგ ორ შეხვედრას თბილისში გამართავენ: 17 ნოემბერს ავჭალაში სამოას უმასპინძლებენ, 24-ში კი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ტონგას დაუპირისპირდებიან.

**თამაზ პატარიძე**

## უბედური შემთხვევა

უბედურ შემთხვევას ახალგაზრდა მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახშირღელეში. გავრცელებული ინფორმაციით, ტრაქტორი გადაბრუნდა და 18 წლის ბიჭი მოიყოლა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. შსს-ს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დაიწყო, რაც ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

## თბილისში ტრანსგენდერ ქალს 7 თავდამსხმელი ფიზიკურად გაუსწორდა

„თანასწორობის მოძრაობის“ ინფორმაციით, გუშინ 7 თავდამსხმელი ტრანსგენდერ ქალს ფიზიკურად გაუსწორდა. ორგანიზაციის ინფორმაციით შემთხვევა ღამის 2 საათზე მოხდა.

„12 ნოემბერს გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ტრანსგენდერ ქალს თავს დაესხნენ. თვითმხილველების თქმით, შემთხვევა გამთენიისას 2 საათზე მოხდა. 7 თავდამსხმელი ფიზიკურად გაუსწორდა ტრანსგენდერ ქალს. მას დაზიანებები აქვს მიყენებული სახისა და თვალის არეში, დაზიანებული აქვს ყბის ძვლები, მიღებული აქვს ტვინის შერყევა. დაზარალებული ტრანსგენდერი ქალი საავადმყოფოშია გადაყვანილი“, — ნათქვამია „თანასწორობის მოძრაობის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში და აღნიშნულია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ტრანსგენდერი ადამიანები ძალადობის მსხვერპლი ხდებიან.

### სანთელი

ზურაბ მაჩაიძის ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უახლოესი ნათესავის

**ვახტანგ ვარლამის ძე კაჭარავას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 13, 14 XI, 17 სთ. გამოსვენება 15 XI, 14 სთ.

ივ. ჯავახიშვილის (ყოფილი კალინინის) №86.

## ხანძრებმა თავი იჩინეს

**კასპში**, სოფელ ქვათახევის ტყეში ხანძარი ლიკვიდირებულია. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, დამწვარია 10 ჰა ფართობი.

უწყების ცნობით, რთული რელიეფის გამო ხანძრის ქრობის პროცესში ჩართული იყო ცოცხალი ძალა. ადგილზე მუშაობდა 30 მეხანძრე-მაშველი.

* * *

**ბაღდათში**, სოფელ ზეკარის ტყეში ხანძრის ჩაქრობის პროცესი გუშინ დილიდან განახლდა. ქრობის პროცესში ჩართულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 200 მეხანძრე-მაშველი.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, იწვის შერეული ტყის ქვედა საფარი. წინასწარი ინფორმაციით, დამწვარია 5 ჰა ფართობი.

დასახლებულ ტერიტორიებზე ცეცხლის გავრცელების საშიშროება არ არსებობს.

### ხსოვნა

ნანული მხეიძე, გურამ გუნავა ოჯახით მწუხარებით იუწყებიან დიდებული ქალბატონის, მომავალი თაობის აღმზრდელის, დამსახურებული პედაგოგის

**ვიოლა როსტიაშვილი-ჩიქავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის უახლოეს მეგობარს, დამსახურებულ ჟურნალისტს ენვერ ჩიქავას და მისი ოჯახის წევრებს მეუღლის გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეგობრები ნოდარ ჭითანავა, რაულ ჩილაჩავა, ბონდო ჯიქია, ზურაბ ხასია, ოთარ ჭითანავა, ვაჟა ფიფია, რაულ ჯახია, კოკი ბაქრაძე, ლერი ჭითანავა, ზურაბ გოგოხია, რობერტ უბილავა, კახა არდია, კარლო წულაია, ამირან მექვაბიშვილი, ამირან მითაგვარია, გივი სოსელია, სერგო ცაიშვილი, გული აგუმავა, ნუგზარ უბერი მწუხარებით თანაუგრძნობენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს ყოფილ უფროსს, დამსახურებულ ჟურნალისტს ენვერ ჩიქავას მეუღლის

**ვიოლა როსტიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

# წიგნის დღეები და მადლიერი მკითხველი

**8 ნოემბერს თბილისში, „ექსპო ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში „თბილისის წიგნის დღეები 2018“ გაიხსნა. წიგნის მოყვარულებს ათობით გამომცემლობამ უმასპინძლა. გასულ წლებთან შედარებით მრავლად იყო უცხოური გამომცემლობებიც. წარმოდგენილი იყო წიგნთან დაკავშირებული აქსესუარები. ტრადიციულად მრავალფეროვანი პროდუქციით წარდგნენ წიგნის მოყვარულთა წინაშე არამარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც კარგად ცნობილი გამომცემლობები, მათ შორის „ინტელექტი “ და „არტანუჯი“.**

**შემოქმედისთვის მეტად სასიხარულოა, როდესაც მისი დებიუტი ამგვარ თავყრილობაზე შედგება. შეძლებისდაგვარად რამდენიმე მათგანს წარმოგიდგენთ.**

## სხვისი სახლი

**„სხვისი სახლი**“ პოეტ **ეკა კვიციანის** ტექსტების პირველი კრებულია, დიდი ხნის ნაფიქრის და ნაცხოვრების მხატვრული გამოცდილება — უკიდურესი პასუხისმგებლობით, თვითკრიტიკული რეფლექსიით, პოეზიასა და მკითხველთან განდობილი სულიერი ვნებებით აღსავსე. ბევრი წერს სიყვარულზე, მაგრამ სიყვარული და პოეტი იშვიათად ცვლიან როლებს. ეს მხოლოდ მაშინ, როცა პოეტები რაიმე მსხვერპლზე მიდიან, როცა ეს გარდასახვა რაღაცის ფასად ხდება“. — წერს წიგნის წარდგენით წერილში გამოცემის რედაქტორი **ნინო სადღობელაშვილი**.

მართლაც ამ შესანიშნავი ლექსების გაცნობისთანავე ნახავთ, რომ ეკა კვიციანის პოეზიაც უფრო სიყვარულის მონოლოგია თავად პოეტის მიმართ. აქ სიყვარული საუბრობს, სიყვარული ესაუბრება პოეტს.

## ღმერთი სამსახურშია...

**დათო გორგილაძის** მოთხრობების წიგნი „ღმერთი სამსახურშია“, ავტორისავე თქმით, რეალურ ამბებზეა დაფუძნებული, ამასთან ერთად, ავტორის ფანტაზიის ნაყოფია და მისი ნიჭიერების წყალობით (მხედველობაში გვაქვს ლაღი თხრობა, ულევი იუმორის ბრწყინვალე წარმოსახვა) ეს რეალური ამბები ჩამთრევ თრილერად იქცევა და მიუხედავად იმისა, რომ კოსმიური სისწრაფით შეიძლება ჩაიკითხოთ, თავის სათქმელს მაინც ამბობს, ამბობს უმაღლესი პროფესიონალიზმით.

წიგნის გმირები სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან თავისი ცხოვრებისეული უცნაურობებით, თავგადასავლებით, მოულოდნელი და თითქოს არაფრის გამო შექმნილი სკანდალებითა და ცხოვრებისეული წესით და ყველაზე მთავარი... თბილისის ქუჩებში უჩვეულო ამპლუით განკაცებული ღმერთი .

„ინტელექტის“ მიერ გამომცემელი წიგნის რედაქტორი გახლავთ **ზვიად კვარაცხელია**.

## სიზმრების ქალაქი

**„ეძღვნება ყველას, ვისაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც უგრძნია აუტანელი სიცარიელე, ვისაც ვერ უპოვია ამქვეყნად საკუთარი ადგილი, ვისაც მთელი გულით უნდა, უყვარდეს, სჯეროდეს საკუთარი თავის და ბოლომდე უერთგულოს გზას, რომელიც ბედნიერებას მიანიჭებს... რადგან სწორედ ეს არის ჯადოსნური მოგზაურობა, რომელზეც ვოცნებობდით ბავშვობაში და ეს არის გზა, რომელიც მიდის სიზმრების ქალაქში“...** — ამგვარი ზღაპრული შესავლით გვეპატიჟება თავისი სიზმრების ქალაქში **ნატა თვალაძე**. ნიჭიერი მწერალი ქალის თვალით დანახული ცხოვრება, რომელიც თავისი ორიგინალობით არავის დატოვებს გაწბილებულს, უნასა და პიერის ცხოვრება, ანუ მოგზაურობა სიზმრების ქალაქში, მეტად ორიგინალურად გადმოცემული, მკითხველს „ინტელექტმა“ შესთავაზა **ნატო გორდელაძის** რედაქტორობით.

## თბილისი. ძველი ქალაქის ისტორია

„არტანუჯის“ მიერ გამოცემული **ალექსანდრე ელისაშვილის „თბილისი. ძველი ქალაქის“** ისტორია (რუსულ და ინგლისურ ენებზე) ძვირფასი საჩუქარია არამარტო დედაქალაქის სტუმრებისთვის, არამედ, მე ვიტყოდი, პირველ რიგში, დედაქალაქელებისთვის. განა ბევრმა თბილისელმა იცის ძირფესვიანად თავისი ქალაქის ისტორია? ეს მცირე ზომის წიგნი იმითაცაა საინტერესო, რომ ქალაქის ისტორიას, ისტორიულ ადგილებს (დაწყებული ქალაქის დაარსებიდან თანამედროვეობამდე) მიუყვები პროფესიონალი ისტორიკოსის ალეკო ელისაშვილის თხრობითა და ძველი უცხოელი მოგზაური მხატვრებისა და ფოტოხელოვანთა თანხლებით. უნიკალური ფოტოები საშუალებას გაძლევს, წარმოიდგინო, თუ როგორი იყო შენი ქალაქი 100 წლის წინათ და უფრო ადრე, რამდენი ხიდი იყო თბილისში, რამდენი ციხესიმაგრე, ეკლესია, ქარვასლა, რესტორანი, როგორ სუნთქავდა და ცხოვრობდა ევროპა-აზიის გზასაყარზე მდებარე ერთ-ერთი გაუმეორებელი სილამაზის უძველესი ქალაქი. რამდენჯერ აღდგა ფენიქსივით, მტარვალთა მიერ გადამწვარ-გადაბუგული, რა სიმდიდრეს ინახავს ისტორიული თვალსაზრისით მისი ყოველი გოჯი და როგორი გაფრთხილება უნდა ქალაქს. **ბუბა კუდავას** მიერ დაარსებული სერიით გამოცეული ეს ორი წიგნი თარგმნეს რუსულად **ირინა მჭედლიშვილმა** და ინგლისურად **მანანა ოდიშელმა**, რედაქტორი კი გახლავთ **ზვიად კვარაცხელია**.

**ავთანდილ ბექაური**















## წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოება გრძელდება



**სწავლაში მიღწეული წარმატებისთვის გურიის რეგიონის 66 მოსწავლე პერსონალური კომპიუტერებით დაჯილდოვდა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ირინა აბულაძემ და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორმა ზვიად როსტომაშვილმა კომპიუტერებით ის მოსწავლეები დაასაჩუქრა, რომლებმაც საბაზო საფეხური წარჩინებით დაამთავრეს.**

მოსწავლეთა წახალისების პროექტი, რომელსაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2009 წლიდან ახორციელებს, მიზნად ისახავს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და სწავლის პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობას. თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ნიჭიერ და შრომისმოყვარე მოზარდებს წარმატების მიღწევის კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს.

## საქართველოს კინომემკვიდრეობა უბრუნდება

**რუსეთის ფილმსაცავ „გოსფილმოფონდში“ დაცული ქართული კინომემკვიდრეობის სამშობლოში დაბრუნების პროცესი გრძელდება — საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ძალისხმევით, საქართველოში, „გოსფილმოფონდში“ დაცული, კიდევ, 7 ფილმი დაბრუნდა.**



მეოთხე ეტაპზე, ქართულ მხარეს ივანე პერესტიანის „არსენა ჯორჯიაშვილი“ (1921 წ.) და „სურამის ციხე“ (1923 წ.), ამო ბეკ-ნაზაროვის „მამის მკვლელი“ (1923 წ.), მიხეილ ჭიაურელის „ხაბარდა“ (1931 წ.),დავით რონდელის „დაკარგული სამოთხე“ (1937 წ.), გელა კანდელაკის „უბედურება“ (1980 წ.) და ნუცა ღოღობერიძის „უჟმური“ (1934 წ.) დაუბრუნდა.

## დაბა ჩხოროწყუს ქალაქის სტატუსი მიენიჭა

მთავრობის გადაწყვეტილებით, დაბა ჩხოროწყუს ქალაქის სტატუსი მიენიჭა. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩხოროწყუში გამართულ სახალხო დღესასწაულზე „კოლხური შემოდგომა“ გახდა ცნობილი.

**„დაახლოებით ორი წელია, რაც ამ თემაზე ვმუშაობთ. ინფრასტრუქტურის სამინისტროს მივწერეთ, რომელმაც მოამზადა შესაბამისი დასკვნა. ვინაიდან ადგილზე გვაქვს ყველა კულტურული ცენტრი, მერია, საკრებულო. 6 ნოემბერს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მოაწერა ხელი დაბის სტატუსის ქალაქის სტატუსით შეცვლას. აქ არ არის თვითმმართველ ქალაქზე საუბარი, ეს ეშლებათ ხოლმე“,** — აღნიშნა ჩხოროწყუს მერმა დავით გოგუამ. ჩხოროწყუს დაბის სტატუსი 1960 წლიდან ჰქონდა.




## გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაში:
2-99-02-10;
599 797 679.

„ჯეომედია“
266-51-13;
593 209 526

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.


## შანიძის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

**პროექტის ფარგლებში, შეკეთდა და მოასფალტა საფეხმავლო ზონები, რომლის გასწვრივ, 1200 გრძივი მეტრი ბაზალტის ბორდიური მოეწყო. ასევე, მოწესრიგდა მიწისქვეშა კომუნიკაცია. ამ ეტაპზე, სავალ ნაწილზე ასფალტის ახალი საფარი იგება.**



საგზაო ინფრასტრუქტურა მთლიანობაში, 5600 კვ.მ ფართობზე მოწესრიგდება, რისთვისაც გამგეობის ბიუჯეტიდან დაახლოებით, 250 ათასი ლარი დაიხარჯება. გზის კეთილმოწყობა შანიძის ქუჩაზე ერთ კვირაში დასრულდება.

## კიდევ ერთი გალამაზებული ქუჩა

დედაქალაქის მერი კახა კალაძე ისნის რაიონში, ლეხ კაჩინსკის ქუჩაზე იმყოფებოდა, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დასრულდა. კაჩინსკის ქუჩის კაპიტალური შეკეთება თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურმა განახორციელა.



**„კაჩინსკის ქუჩის რეაბილიტაცია დასრულდა, სადაც ძალიან მძიმე მდგომარეობა არსებობდა. მთელი რიგი პრობლემების გამო, ცენტრალური გზა ჩავარდნილი იყო. პროექტის განხორციელების შედეგად, ყველაფერი ფუნდამენტურად მოწესრიგდა. კერძოდ, რეაბილიტაცია ჩაუტარდა წყლისა და სანიაღვრე სისტემას, შეიცვალა გარე განათების ბოძებიც. ასევე, ელექტროსადენები, მიწის ქვეშ განთავსდა. დარჩენილია საგზაო მონიშვნების დახაზვა, რომელიც გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, შესრულდება. აეროპორტიდან ქალაქში შემოსასვლელი გზა, დღეს სრულად არის რეაბილიტირებული, ისევე, როგორც ევროპულ ქალაქებშია“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

პროექტის განხორციელებისთვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან 733 000 ლარი დაიხარჯა. ლეხ კაჩინსკის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები კონტრაქტორმა კომპანია „დინ გრუპმა“ შეასრულა.


## ყურადღება! ყურადღება!

**ძვირფასო ქართველო და საქართველოსთან დამეგობრებულო უცხოელო ბიზნესმენებო, უნიკალური სამკურნალო თვისებებით განთქმულ კურორტ საირმეში იყიდება 2433 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოდგება ნებისმიერი სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ან სასტუმრო კომპლექსის ასაშენებლად.**

**ფასი შეთანხმებით!**



**დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:**
**599-79-76-79; 599-36-00-35; 599-53-76-16.**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს—323
ISSN 2233-3851


**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე, ისიამოვნე!**

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.7146; ევრო - 3.0800;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5325;
100 რუბლი - 4.0430; თურქული ლირა - 0.4925;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6084;
1000 სომხური დრამი - 5.5684.

**ამინდი 13 ნოემბრისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +3, | დღე +13 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -3, | დღე +13 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +7, | დღე +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +1, | დღე +14 |
| თბილისი: | ღამე +7, | დღე +12 |


**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge